ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 10 აგვისტო 2004 №183 (2204) ფასი 50 თეთრი


# იტალია აპრუწუწუნით იწყებს



„სიენას" ოფისიდან ცოდვები ყუთებით გამოაქვთ

## ჩექმას ცუდი სუნი აუვიდა

ნაღდად ჩაწყობილი იყო!

შარშანდელი ვალი ჰქონდა დასაბრუნებელი.

ტურში ერთი თამაში ხომ უნდა გატეხილიყო?!

კარგი რა, ეგრე სად არის...

რამდენიც თქვენ ასეთი დიალოგი მოგისმენიათ, იმდენი კუში აქეთ. ბევრს სჯერა, რომ ევროპის ბობოლა ლიგებში თამაშები ტოტალიზატორებისთვის სასურველი ანგარიშებით მთავრდება, ბევრს ასეთი რამ ვერც წარმოუდგენია.

სამაგიეროდ, ამ ბნელ საქმეში კარგად გაერკვნენ იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომისია და ქვეყნის ფედერალური პროკურორი ემილიო ფრასკონე, გაერკვნენ და, თურმე სადა ხარ: ეწყობა კიდეც, ტყდება კიდეც და ათასი სხვა მამაძაღლობა.

გუშინ ზემოხსენებულმა კომისიამ 40 ფეხბურთელი, რამდენიმე კლუბის მწვრთნელ-პრეზიდენტი და გუნდი სწორედ გარიგებულ თამაშებში დაადანაშაულა.

ემილიო ფრასკონემ დამნაშავეებად სულაც სერია A-ს „კიევო", „სიენა", „სამპდორია" და „მოდენა" დაასახელა.

ეჭვმიტანილთა შორის არიან „სკუადრა აძურას" ყოფილი და „სამპდორიას" ნახევარმცველი სტეფანო ბეტარინი, „მოდენას" ანტონიო მარასკო, „სიენას" ყოფილი მწვრთნელი ჯუზეპე პაპადოპულო, „ანკონას" ყოფილი პრეზიდენტი ჯოვანი გალეონე, „კიევოს" სპორტული დირექტორი ჯოვანი სარტორი და ლუიჯი დელ ნერი, „კიევოს" ცნობილი მწვრთნელი, ახლახან „პორტუდან" გაშვებული.

კომისიამ წინა სეზონის ის მატჩებიც დაასახელა, რომლებიც ტოტალიზატორების შეკვეთილი ანგარიშებით დასრულდა: ლეჩე — სიენა 0:0; კიევო — სიენა 1:1; ანკონა — კიევო 0:2; მოდენა — სამპდორია 1:0; კიევო — მოდენა 2:0; ანკონა — ემპოლი 2:1.

საფეხბურთო ლიგისა და პროკურატურის ერთობლივმა გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ ამ ყველაფრის უკან ნეაპოლელ მაფიოზთა ორგანიზაცია კამორა დგას, რომელიც იტალიურ ფეხბურთში ჩაფესვილა და მატჩების ჩაწყობა-გარიგებით დიდ ფულსაც იხვეჭს.

საფეხბურთო ლიგამ საქმის გარჩევა 16 აგვისტოს დათქვა.

მოკლედ, იტალიაში ამბებია, 12 სექტემბერს დასაწყები სერია A როდის და როგორ დაიწყება, კაცმა არ იცის.



ვირების ყოფილი მწყემსს
ლუიჯი დელ ნერის ვირის აბანო ელის

# ხორვატიული ანდაზა: არხეინი რა ხეირი?!

ამ ოლიმპიურ გაწამაწიაში ჩვენი კალათბურთელებისთვის აგვისტო უქმე თვე გამოდგა. საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ჯერ ისე ვერ მძლავრობს, ოლიმპიადაზე გზა გაიკაფოს, მაგრამ იმითაც კმაყოფილები ვართ, რომ საზოგადოდ ნაკრები გვყავს და თუ ყველა რჩეულ მოთამაშეს შემოვიკრებთ, ბებერ კონტინენტზე ბოლოში არ ვიქნებით.

თბილისში ჩამოვიდა ეროვნული გუნდისა და თბილისის „დინამოს" ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი, რომელსაც ფედერაციამ 2007 წლამდე ვადაგაგრძელებული კონტრაქტი დაახვედრა. კონტრაქტს ხელს ალბათ რამდენიმე დღეში მოაწერს, გვითხრა ხორვატმა და ისევ და ისევ ეროვნული გუნდის იტალიური ვოიაჟი გაიხსენა. ახალშობილი გუნდით რუსეთისა და შვედეთის ძლევა თავისთავად იძლევა კმაყოფილების საბაბს, თუმც ბრაიკოვიჩი მაინც ფხიზლობს, ამბობს – „გამარჯვებები კარგია, მაგრამ მაკედონიასთან, ფინეთთან და ლუქსემბურგთან საკვალიფიკაციო ტურნირზე ეიფორიამ არ უნდა წაგვახდინოს."



ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

## უეფას თასი 2004-2005

II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი

### სლავია—დინამო

# ჯერ ვიდეოსლავია არ მჯერა!

## ჩეხები კვირკველიას ვერ მოატყუებენ



დავით კვირკველია და გიორგი შაშიაშვილი

*დღეს, 17 საათზე, თბილისის „დინამო" გეზს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღისკენ აიღებს. სასტუმრო „ჰოლიდეიში" დაბინავების შემდეგ დინამოელებს თეორიული მეცადინეობა ექნებათ და „სლავიას" თამაშების ვიდეოფირსაც ნახავენ. გუნდს პრაღაში ვერ გაჰყვებიან ლევან სილაგაძე, ლადო ახალაია და რომერო. დავით კვირკველია და ჯაბა კანკავა მიკროტრავმებს უჩივიან, მაგრამ ისინი გუნდთან ერთად იქნებიან. ითამაშებენ თუ არა, მატჩის დღეს გადაწყდება.*

*ჩეხეთში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ გიორგი შაშიაშვილს და დავით კვირკველიას, ვისი პრაღაში უთამაშებლობაც „დინამოსთვის" დიდი დანაკლისი იქნება.*

*გიორგი შაშიაშვილი:* განწყობა ნორმალურია. ჩეხებთან ბოლო წუთებამდე უშეღავათო ბრძოლას ვაპირებთ. ამიტომ ორმაგად სამწუხაროა, რომ ტრავმების გამო არ იქნებიან ახალაია და რომერო. სილაგაძეზე არაფერს ვამბობ, ოპერაცია გაიკეთა და მოსაკეთებლად კიდევ საკმაო დრო დასჭირდება.

— „სლავიას" შესახებ რა იცით?

— ვიდეოფირები ჯერ არ გვინახავს. პრაღაში რომ ჩავფრინდებით, იმ საღამოს ვუყურებთ. ერთში კი ყველა დარწმუნებული ვართ, „სლავია" „ლიბერეცისგან" განსხვავებულ ფეხბურთს არ უნდა თამაშობდეს. ტანმაღალი და ათლეტური გუნდია. აქცენტს სტანდარტული სიტუაციების მაქსიმალურ გამოყენებასა და, რა თქმა უნდა, მაღალ ბურთებზე აკეთებს. ჩეხები მეორე სართულზე ძალიან კარგად თამაშობენ.

— „ლიბერეცისგან" განსხვავებულს არაფერს ელით?

— როგორ არა, მე მგონი, „სლავია" მაინც უფრო მაღალი კლასის გუნდია და გარდა სათამაშო დისციპლინისა და ათლეტურობისა, ფეხბურთელების კლასიც დაეხმარება.

— ჩეხურ კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონია...

— ამას სერიოზულად არ აღვიქვამ. გააჩნია, ფინანსურ პრობლემებს რას ეძახიან: ჩეხეთის 14-გზის ჩემპიონები არიან და პაველ კუკა და რადეკ ბეიბლი უფულო გუნდში არ ითამაშებენ. ასე რომ, ძალიან სერიოზული მეტოქე გვყავს და ასევე უნდა მოვეკიდოთ მათთან მატჩს.

— „დინამო" „სლავიამ" დაზვერა კიდეც...

— გავიგე, რომ პრაღაში იოლ მოგებას და ორბურთიან ჰანდიკაპს გეგმავენ. ამან ძალიან გაგვალიზიანა. „დინამო" ჩეხეთში მინიმალური ანგარიშით წასაგებადაც არ მიდის და მეტოქის თამაშს გულხელდაკრეფილები არ ვუყურებთ.

*დავით კვირკველია:* ოთხი ნემსი გავიკეთე, ერთსაც ჩეხეთში გავიკეთებ. კუნთი მაქვს დაჭიმული და პირველად სწორედ პრაღაში ვივარჯიშებ.

— შენი უთამაშებლობა „დინამოსთვის" დიდი დანაკლისი იქნება...

— მეც ძალიან მინდა, ჩვენებს დავეხმარო, თანაც ასეთ გუნდთან... ვარჯიშზე შევხედავ, თუ ფეხმა გამიშვა, ერთ წუთსაც არ დავფიქრდები, ვითამაშებ.

— „სლავიაზე" თუ გაქვს წარმოდგენა?

— ეჭვი არ მეპარება, რომ მაგარი გუნდი იქნება. ჩეხური ფეხბურთის ძალა ყველამ იცის. მე არც ის მჯერა, „სლავიას" ფინანსურ სირთულეებზე რომ ლაპარაკობენ. უფრო ეშმაკური ფანდი მგონია. ის კი ვიცი, რომ ისინიც სერიოზულად ემზადებიან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მზვერავიც გამოგზავნეს. ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან მძიმე მატჩი იქნება, მაგრამ იოლად ვერც ჩეხები გადარჩებიან.

**დავით ერაძე**

# ზაიმერნი ცალკე და შალკე

## მოლდოვაში შეცდომები უნდა გავასწოროთ



*ბუნდესლიგის პირველ ტურში ქართველი ნახევარმცველის ლევან კობიაშვილის „შალკეს" ბრემენიდან სამი ქულის წაღება შეეძლო, მაგრამ ისე მოხდა, რომ სტუმრებს იქით მოუხდათ ქულების ჩემპიონ „ვერდერისთვის" დატოვება. სწორედ „ვერდერიდან" „შალკეში" ახლახან გადასულ ბრაზილიელ აილტონს კობიაშვილისთვის ერთ-ორ მეტრიანი პასი რომ მიეცა, ჩვენიანი ნაღდად გამტანი იყო.*

*„შალკეს" თავდამსხმელმა თავად მოინდომა ყოფილი გუნდისთვის გატანა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში კი „ვერდერმა" იხეირა და „შალკეც" ხახამშრალი დარჩა.*

*მოკლედ, ბუნდესლიგა დაიწყო და მასთან ერთად ჩვენი ბუნდესინტერვიუებიც. პირველი ლევან კობიაშვილთან...*

„ვერდერთან" ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა, მაგრამ რაც გამოვიდა, ალბათ, ნახეთ. ერთი უხეში შეცდომა და მასპინძლებმა არ გვაპატიეს. არადა, „ვერდერის" გოლამდე ჩვენ ორი ნაღდი საგოლე მომენტი გვქონდა, ერთი მაინც რომ გამოგვეყენებინა, მერე მასპინძლებს ძალიან გაუჭირდებოდათ.

— იმ ორი მომენტიდან ერთი,



აილტონი კობიაშვილთან ჩაიჭრა

ლოგიკურად, შენ უნდა დაგესრულებინა. რაო აილტონმა, პასი რატომ არ მოგეციო... ეს ეპიზოდი არ გაგირჩევიათ?

— გავარჩიეთ, მაგრამ ერთმანეთისთვის რაღა უნდა გვეთქვა?! აილტონს მწვრთნელმა უსაყვედურა, თუმც შეცდომას თავადაც მიხვდა, ვერ დაგინახეო, მერე მითხრა. ასეთი ეპიზოდები ფეხბურთში ხშირია, აილტონს, ალბათ, ძალიან უნდოდა, თავისი ყოფილი გუნდისთვის გაეტანა და ბურთის მეტი ვერაფერი დაინახა.

— ამ მატჩის მერე, როგორ ატყობ, „შალკე" შარშანდელზე უკეთესი გუნდია?

— რა თქმა უნდა, ახლა გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავს. „ვერდერთან" კიდევ ვერ ვითამაშეთ, ჩემპიონატის გახსნის მატჩი იყო და ვნერვიულობდით. თანაც თამაშის დაწყებამდე სტადიონზე შუქი ჩაქრა, ერთ საათს ლოდინმა მოგვიწია, რამაც ფსიქოლოგიურად უარყოფითად იმოქმედა. ისე კი, ვარჯიშებზე, ინტერტოტოს მატჩებზე გუნდის გაძლიერება თვალშისაცემია. ორი გამოცდილი მცველი და აილტონი დავიმატეთ, ვინც მათ დავხვდით, ისინი უკეთ შევთამაშდით... „ბაიერნს" წლეულს, არა მგონია, ჩემპიონატში ვინმე შეეცილოს, ეს გუნდი დანარჩენებზე ერთი თავით მაღლა დგას და ამიტომაც ჩემპიონობის მცირე შანსი გვაქვს, მაგრამ მეორე-მესამე ადგილებისთვის ბრძოლა კი ნაღდად შეგვიძლია.

— ესე იგი, ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებთ.

— ვუმიზნებთ კი არა, „ბაიერნის" შემდეგ ამ საგზურის უპირველეს კანდიდატად ყველა ჩვენ გვთვლის.

— ბრემენში შუქი რატომ ჩაქრა?

— რა ვიცი, თქვეს, რაღაც აფეთქდაო. მარტო თბილისში კი არ ხდება ასეთი რამეები.

— ხვალ „ლიბერეცთან" ინტერტოტოს მატჩი გაქვთ. არ გაგიჭირდებათ ასეთი გრაფიკით: სამ დღეში ერთხელ თამაში?

— გაგვიჭირდება, მაგრამ სხვა რა გზაა. კლუბის ხელმძღვანელობამ უეფას თასზე თამაში მოგვთხოვა და ჩვენც რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ. თანაც საერთაშორისო მატჩები კლუბისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა, სხვა თუ არაფერი, ყოველ თამაშზე სტადიონზე 60 ათასი კაცი მოდის.

— და კიდევ, ნაკრებზე. მოლდოვასთან ითამაშებ?

— ყოველ შემთხვევაში, სამოლდოვო შეკრებაზე მოვდივარ. შესარჩევი მატჩების დაწყებამდე მოლდოვა ბოლო მეტოქეა და ამ ერთ მატჩში ჩვენი ხარვეზების გამოსწორება უნდა ვცადოთ, კიდევ უკეთ შევთამაშდეთ და თურქეთში ისე ვითამაშოთ. თურქების მერე კი ალბანეთია. უკეთესი იქნებოდა, მოლდოვის ნაცვლად უფრო ძლიერ გუნდთან გვეთამაშა, მაგრამ ახლა რაღას შეცვლი, მოლდოვა უნდა ვიკმაროთ.

**კობა ინასარიძე**

**საქართველოს ჩემპიონატი**

უმაღლესი 16 ლიგა 2 ტური

| | |
|---|---|
| სიონი 3:2 დილა | ვიტ ჯორჯია 2:3 დინამო |
| თბილისი 3:0 კოლხეთი | |
| ტორპედო 4:0 ზესტაფონი | ლოკომოტივი 0:0 ბათუმი |

*ეროვნულ ჩემპიონატს ნელ-ნელა ეშხი ემატება და პირველ ტურში მაინცდამაინც საინტერესო და მნიშვნელოვანი თუ არაფერი მომხდარა, წინა კვირის მატჩებიდან ორი ისეთი გამოდგა, თქვენი მოწონებულიო, რომ ითქმის.*

*მიმდევრობა დავარღვიოთ და რადგან პარასკევის „თბილის“ — „კოლხეთზე“ დიდად გამოსარჩევი არაფერი მომხდარა, შაბათის „სიონი“ — „დილათი“ დავიწყოთ*

ეს გუნდები შარშანდლის მერე ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ ერთმანეთს. თუ გახსოვთ, წინა ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლნისური თამაშის ზუგდიდელმა არბიტრმა კახა მესხმა სტუმრების გოლი გააუქმა, რასაც გორელების აღშფოთება და ერთი რია-რია მოჰყვა. მესხს „დილას“ ფეხბურთელები ისე გამოუდგნენ, როგორც მწევრები კურდღელს და გაასილაქეს კიდეც. საპასუხოდ გორელებმა ბოლნისელი ქომაგების რისხვა დაიმსახურეს... სხვათა შორის, ის მატჩიც უხვგოლიანი გამოდგა, „სიონმა“ 4:3 მოიგო.

შაბათს კი ბოლნისელების ხახაში უკვე არბიტრ დოგრაშვილის ასისტენტი ნუგზარ რუსიშვილი ჩავარდა. აფერუმ, რუსიშვილის ვაჟკაცობას, მან მასპინძლებს სამი გოლი არ ჩაუთვალა, სამჯერვე თამაშგარე დააფიქსირა. მეორე არჩათვლილის მერე კი მისკენ ბოლნისელი ფანი გაიქაჩა, თუმც პოლიციელებმა „დასწრებაზე ითამაშეს“ და მოედანს განარიდეს. ამ სამი გოლიდან ორი რუსეთიდან მობრუნებული დავით გოგოლაძისა იყო, ერთიც უწვერული პაატა ჩოხლისა. ახლა ისიც ვთქვათ, რომ სამი ჩათვლილი გოლიდანაც ორი გოგოლაძემ გაიტანა, ერთიც იმავ ჩოხელმა. მოკლედ, „სიონმა“ და მისმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ პირველი სამი ქულა მიითვალეს. ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებულ სტუმრებს ანგარიში ხომ გაუთანაბრეს და ბოლოსწინა წუთზე გამარჯვებისაც გაიტანეს.

ზედიზედ მეორე მატჩი, თანაც ისევ „მშრალი ანგარიშით“ მოიგო „ტორპედომ“. ქუთაისს ამჯერად მეზობელი „ზესტაფონი“ ესტუმრა, მაგრამ მხოლოდ ესტუმრა, ხეირი იქ ვერაფერი ნახა. ქუთაისელებმა მოლდოველ მწვრთნელ ვლადიმირ ზემლიანოისა და მის შეგირდებს ოთხი უპასუხო გოლი გააყოლეს.

თბილისში „ლოკომოტივმა“ „ბათუმი“ მიიღო. ამ მატჩზე ეს ვიკმაროთ, რაკილა ბურთის იქით-აქეთ უაზროდ გორების მეტი „ლოკომოტივზე“ არაფერი მომხდარა. ანგარიშიც შესაბამისი — 0:0.

პოლონურ „ლეგიასთან“ საპაექროდ გამზადებულმა „თბილისმა“ კი პარასკევს ფოთის „კოლხეთთან“ ჩაატარა რეპეტიცია. სარეპეტიციო იყო მატჩის დაწყების დროც — 19 საათი, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ „თბილისი“ ლეგიასთან“ თამაშს ერთი საათით ადრე დაიწყებს. „კოლხეთთან“ მატჩში თბილისელებს თავი მაინცდამაინც არ მოუკლავთ, პირველი გოლი მე-20 წუთისთვის გაიტანეს და მერე თამაშის საშუალება სტუმრებსაც მისცეს, თუმცა მატჩის მიწურულს ორჯერაც გაიტანეს, ორჯერვე გოგა ფიფიამ იყოჩაღა, რომელმაც ამ სეზონში პირველად ითამაშა და „კოლხეთთან“ მოედანზე გატარებული 13 წუთი დუბლის გასაკეთებლად იკმარა.

და ბოლოს, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“, ტურის ცენტრალური მატჩი, რომელიც მცხეთაში შედგა. „ვიტ ჯორჯია“ ძველ, „არმაზის“ სარბიელს წარუმატებლად დაუბრუნდა. ჩემპიონებმა 11-გზის ჩემპიონებთან 2:3 წააგეს. თამაში დრამატული გამოდგა. „დინამო“ სამ წუთში გატანილი ორი გოლით დაწინაურდა და თითქოს საქმეც მოამთავრა, თუმც შესვენებამდე ათი წუთით ადრე გოჩაშვილმა სხვაობა შეამცირა, მეორე ტაიმის განახლებისთანავე კი მეორეც გაიტანა. გოლი მას ჩაეთვალა, თუმცა აღსანიშნად და სალაპარაკოდ, რაც იქამდე იყო, ის უფრო ღირს. ადამიამ დაახლოებით 30 მეტრიდან საშინელი ძალით დაარტყა საჯარიმო. ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე ძელს და კარის ხაზიდან უკვე გოჩაშვილმა შეაგდო. მასპინძლებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ კარგი მომენტები გააცუდეს და მატჩისას ტაქტიკურად რამდენჯერმე გადაწყობილმა დინამოელებმა დასაჯეს კიდეც.

აი, მოკლედ მეორე ტურის ამბები. მესამე ტურმა კი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ერთი მაგარი ჯახი უნდა მოგვიტანოს: „სლავიასთან“ ნათამაშევი „დინამო“ „ლეგიასთან“ პირველმატჩმოლეულ „თბილისს“ უმასპინძლებს.



ბურთმა, რომელმაც ასო „ო“ ასო „თ“-დ გადააკეთა, დაახლოებით 30 მეტრი იფრინა, სანამ თამაზ ილურიძის კარში შეფრინდებოდა. „დილას“ მეკარე ბურთს ჰაერში ვერ შესწვდა, მაგრამ ბადიდან მისი გამოტანა, ცხადია, მაინც მოუწევდა.



## სენტი მენტალური სასწაული

გვერდითმა მსაჯმა ნუგზარ რუსიშვილმა სიონელთა სამი არჩათვლილი გოლის შემდეგ მეოთხე ჩათვალა. ბოლნისელმა ფეხბურთელმა რუსიშვილს თავზე თმა მოუნაზა და მადლობის ნიშნად ხელი მოუთათუნა.

## ოთხი გააქვს, ორი აქვს



სიონელმა დავით გოგოლაძემ გოლი გაიტანა გორელთა კარში, მაგრამ მისგან მარჯვნივ რა ხდება, არ იცის — ალამგაშვერილი ნუგზარ რუსიშვილი დგას. გოლი არ ჩაითვალა.



რა უნდა ისწავლონ ბოლნისელმა ბავშვებმა, რომლებიც მსაჯისკენ საცემრად გაქცეულ ძიებს საკმაოდ ხშირად ხედავენ?! ეს ფეხსაცმელგაპრიალებული კაცი მსაჯის ასისტენტისკენ იწევდა, რომლის გვარ-სახელის გამეორება აუცილებელი არაა.



**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 3 - მელქაძე | დინამო |
| 2 - გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ჩხეტიანი | ტორპედო |
| გოგოლაძე | სიონი |
| ფიფია | თბილისი |

**სიმბოლური ნაკრები**

დავით გოგოლაძე — სიონი
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
გიორგი კილასონია — სიონი
ოთარ მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია
ილია კანდელაკი — დინამო
დავით ოდიკაძე — თბილისი
გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
ზაალ ელიავა — თბილისი
ლაშა სალუქვაძე — დინამო
შოთა კაშია — დინამო
აკაკი დევაძე — თბილისი

გუნდი: სიონი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| თბილისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:8 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ზესტაფონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

**მომდევნო ტური**

14 აგვისტო, შაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
ბათუმი – სიონი
15 აგვისტო, კვირა
დინამო – თბილისი
დილა – ვიტ ჯორჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყვედური აილტონს: შენ რომ ჩვენი ლევანისთვის პასი არ მიგიცია...

*გერმანული ბუნდესლიგა ქართველებისთვის უიღბლოდ დაიწყო.* *ლევან კობიაშვილის* „შალკე“ სტუმრად ჩემპიონ „ვერდერთან“ დამარცხდა (0:1), *ალექსანდრე იაშვილისა* და *ლევან ცქიტიშვილის* „ფრაიბურგი“ კი „ჰანზას“ დაშორდა უგოლოდ. არადა, ორივე მატჩში ჩვენებურებმა გამორჩეულად ითამაშეს. საყრდენ ნახევარმცველად გამწესებულმა კობიაშვილმა ერთპიროვნულად დაიპყრო მოედნის ცენტრი და მატჩის ბოლოს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ გელზენკირხენელთა ბრაზილიელმა აილტონმა ცარიელი კარის წინ მდგომს პასი დაამადლა.

ორი-სამი საგოლე შანსი ჰქონდა „ფრაიბურგ“ — „ჰანზას“ ჯახში იაშვილს. მასპინძელთა ქართველი თავდამსხმელი ჩვეული სისწრაფით ჩაგრავდა მცველებს, თუმც მიზანი ვერა და ვერ გაისწორა. ნამატჩევს „იაშკა“ უხასიათოდ იყო და გერმანელ ჟურნალისტებსაც ეს უთხრა: „ბევრი მომენტი გვქონდა, მაგრამ ერთიც ვერ გამოვიყენეთ. ცუდია, როცა სეზონს ასე უიღბლოდ ვიწყებთ, თუმცა გულშემატკივრები დამეთანხმებიან, რომ ჩვენ მოსაგებად ცდა არ დაგვიკლია. თუკი ბუნდესლიგაში დარჩენა გვსურს, ასე აღარ უნდა ვითამაშოთ“.

*წინა სეზონის უიღბლობას გლაზგოს „რეინჯერსმაც“ ვერ დააღწია თავი.* „ჩაფრებმა“ სტუმრად „აბერდინი“ ვერ გატეხეს. *ზურაბ ხიზანიშვილი* ძირითადში იყო და სრულადაც ითამაშა, *შოთა არველაძე* კი 48-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

*ინტერტოტოზე მოთამაშე „სპარტაკს“ დატვირთული დრო უდგას.* „სახალხო გუნდმა“ რუსულ პრემიერლიგაში გამოტოვებული მატჩები „გაიხსენა“ და ბოლო ერთ კვირაში სამ მეტოქეს შეეჭიდა, თანაც წარმატებით. თუმც *გიორგი ლომაიას* გამმეტებელი სპარტაკელები თავიანთი სატურნირო მდგომარეობით შეშფოთებულნი არიან და პრესასთან პირიც „ამოიკერეს“. გუშინწინ „სპარტაკმა“ თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ აართვა ქულა და ახლა მეექვსე ადგილზეა. რკინიგზელთაგან *მალხაზ ასათიანს* არ უთამაშია — სათადარიგო იყო, *მიხეილ აშვეთიამ* კი, იცით, ტვინის შერყევა მიიღო და წოლითი რეჟიმი აქვს გამოწერილი.

*გიორგი დემეტრაძემ „მეტალურგი“ თასის მეთექვსმეტედფინალში გაიყვანა.* ქვედალიგელმა „დნესტრმა“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია დონბასელებს, თუმც შეცვლაზე შესულმა „დემემ“ დამატებითი დროის მე-8 წუთზე მაინც გატეხა მასპინძლები. *გოჩა ჯამარაული* მწვრთნელმა დაასვენა, *გიორგი გახოკიძემ* კი პირველად ითამაშა „მეტალურგის“ ძირითად შემადგენლობაში და საკმაოდ აქტიურადაც.

*ქართველის გოლით გავიდა თასის მომდევნო ეტაპზე „ვენტსპილსიც“.* *ალექსანდრე რეხვიაშვილმა* 120-ე წუთზე გაუტანა *თამაზ პერტიას* „დინაბურგს“, რითაც „ვენტსპილსი“ ნახევარფინალში გაძვრა. იქვეა რიგის „სკონტოც“, რომელმაც უმძიმეს ბრძოლაში სძლია „იურმალას“. რიგელებმა ბოლო ხუთ წუთში შეძლეს მატჩის გადარჩენა. ამასობაში კი „სკონტოს“ თავკაცი ალექსანდრს სტარკოვსი აწუწუნდა, რიგიანი გამთამაშებელი და მეგოლე თავდამსხმელი გვჭირდებაო. გეტყვით, რომ „იურმალასთან“ ორ ქართველ გამთამაშებელთაგან ერთსაც არ უთამაშია — *ზურაბ მენთეშაშვილი* და *გიორგი ყიფიანი* თადარიგში იყვნენ.

*„შტურმმა“ დერბი წააგო „გრაცერთან“ და ახლა მეხუთე ადგილზეა.* *დავით მუჯირმა* სრულად ითამაშა, თუმც გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო. „შტურმმა“ კი კარგად დაწყებულ ჩემპიონატში ისევ აურია და ასე თუ გააგრძელა, ვინძლო შარშანდელი სეზონის სირცხვილი ერთხელაც ჭამოს — გეხსომებათ, გრაცელები ბოლო ტურამდე მაქსბუნდესლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატები იყვნენ.

*სეზონი ბულგარეთშიც განახლდა, თუმც ქართველთა დებიუტი ვერ ვნახეთ.* *კოტე დარსანია, ლევან კაპანაძე* და *ლევან მიქაძე* სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ჩვენებურთაგან ოდენ არმიელი *ამირან მუჯირი* გამოჩნდა და „როდოპასთან“ მატჩის მიწურულს გოლის გატანაც შეეძლო, თუმც მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს აცილა, ცსკა-მ კი მეტოქე 1:0 დაამარცხა.

**ქახა ზალამბერიძე**



ბუნდესსეზონი „ფრაიბურგმა“ უიღბლოდ, იაშვილმა კი თვითკრიტიკულად დაიწყეს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ვერდერი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 0:0 | 90 | | 1 | 0 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 0:0 | 90 | | 1 | 0 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ესენი 5:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ობერჰაუზენი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | აბერდინი 0:0 | 42 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | აბერდინი 0:0 | 90 | | 1 | 0 | 7 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 0:1 | 90 | | 4 | 2 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 0:0 | 0 | სათადარიგო | 12 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 3 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 0 | 11 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | როსტოვი 1:0 | 0 | ტრანსფერზეა | 2 | 0 | 7 |
| | | ს | ლოკომოტივი 0:0 | 0 | ტრანსფერზეა | 2 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | ლოკომოტივი 0:2 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 8 | 0 | 11 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ლოკომოტივი 0:2 | 90 | | 21 | 0 | 11 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | ს | ლუჩ-ენერგია 0:0 | 90 | | 19 | 0 | 12 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | ს | მ. კუზბასი 1:0 | 85 | შეცვალეს | 17 | 0 | 3 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | შ | დინამო 0:1 | 90 | | 18 | 3 | 18 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ბალტიკა 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 0 | 2 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | ს | კამაზი 1:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | კამაზი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 1 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | ს | კამაზი 1:2 | 75 | შეცვალეს | 3 | 0 | 20 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ლეხი 2:4 | 45 | შეცვალეს | 2 | 0 | 10 |
| **უკრაინა. თასის ოცდამეთორმეტედფინალი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | დნესტრი 1:0 დ.დ. | 0 | | 0 | 0 | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | დნესტრი 1:0 დ.დ. | 52 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 1 | 1 | |
| გიორგი გახოკიძე | მ. დონეცკი | ს | დნესტრი 1:0 დ.დ. | 120 | | 1 | 0 | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ოლკომი 4:0 | 0 | ავადაა | 0 | 0 | |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 0 | | 0 | 0 | |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 0 | | 0 | 0 | |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 0 | | 0 | 0 | |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 0 | | 0 | 0 | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ჰელიოსი 3:1 | 90 | | 1 | 0 | |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ნივა 1:0 | 55 | პენალტი გააცუდა, შეცვალეს | 1 | 0 | |
| **ლატვია. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | იურმალა 2:1 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | იურმალა 2:1 | 0 | | | | |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | ს | იურმალა 2:1 | 0 | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | დინაბურგი 2:1 დ.დ. | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | | | |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | ს | ვენტსპილსი 1:2 დ.დ. | 90 | | | | |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ჰაამენლინა 1:0 | 90 | | 12 | 0 | 7 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | როდოპა 1:0 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 5 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ვიდიმა 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | შ | სპარტაკი 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 1 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | სპარტაკი 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



დონეცკის „მეტალურგმა“ თასზე წინ დემეგოლით წაიწია

# ახალგაზრდებო, გამოდით!
## მაურინიუ რისკის ზონაში

**ვის აქვს ამბიცია და „ჩელსის". ჟოზე მაურინიუ პირდაპირ ამბობს, რომ „ჩელსი" ჩემპიონი უნდა გახდეს და ეს ტიტული ისტორიაში მეორედ სწორედ ამ სეზონში, პირველიდან ნახევარი საუკუნის თავზე უნდა მოიპოვოს.**




რაც გინდა ის თქვით და უეფასა და ჩემპიონთა თასის ზედიზედ მომგები მაურინიუ მაინც რისკავს. მისი ამბიციური განცხადებები იმასაც გულისხმობს, რომ წლის ბოლოს მისი რეპუტაცია ეგებ განადგურებულიც იყოს. თუმცა — „პორტუგალიაშია თუ იგებ, ღმერთი ხარ, თუ აგებ, გაგდებენ — ამბობს ის — ამიტომ ამას მიჩვეული ვარ, „ჩელსი" ამდენი წელია ელის".

კლაუდიო რანიერიმ შარშან მეორე ადგილზე და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა გუნდი, მაგრამ რომან აბრამოვიჩს, რომელმაც შარშან 380 მილიონი დოლარი დაახარჯა გუნდს, შედეგი ეცოტავა და იტალიელი მოხსნა.

მაურინიუ ახალგაზრდებს დაეძებს. მან უკვე დაითხოვა მარსელ დესაი, მანიუ პეტი, ჯიმი ჰასელბაინკი, მარიო მელჩიოტი, ერნან კრესპო და ხუან ვერონი. კაპიტნად ახლა 24 წლის ჯონ ტერია. გუნდში გამოჩნდნენ პორტუგალიის საუკეთესო მცველები, რიკარდუ კარვალიუ და პაულუ ფერეირა, რომლებიც „პორტუში" მაურინიუს ხელქვეით გახდნენ ვარსკვლავები. ისინი, შესაბამისად, 26 და 25 წლისანი არიან. 23 წლისაა ბენფიკელი ნახევარმცველი ტიაგო მენდესი, 25-ის სერბი მატია კეჟმანი.

გუნდს შეემატა სპილოსძვლისნაპირელი დიდიე დროგბა. მაურინიუ 20 წლის ჰოლანდიელ არიენ რობენს ენდობა და ჩეხ მეკარე (22 წლისა) პეტრ ჩეხსაც.

ლამის ყველა წინასასეზონო ითამაშა ფრენკ ლამპარდმა, რომელიც მთავარი ფიგურა ხდება გუნდში. „ძალიან მომწონს ჩვენი ახალგაზრდები. ჩვენ გამოვასწორებთ ხარისხს და თამაშს" — აცხადებს მაურინიუ.

„ჩელსი" „მანჩესტერის" მასპინძლობით იწყებს პრემიერლიგას და მაურინიუ აქაც ამბიციურია: „ეს მხოლოდ სამი ქულაა, მერე კი სამი დუჟინი მატჩი გვაქვს სათამაშო. განწყობა, ხარისხი და სული იმგვარია, რომ მხოლოდ კარგს ველით".

**ირაკლი გამყრელიძე**

# კეჟმანი მართალი კაცია



„ჩელსიმ" მატეა კეჟმანის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაასაჩივრა და ფეხბურთელს სასჯელი გაუუქმეს. შეგახსენებთ, რომ „არისტოკრატთა" სერბი ფორვარდი „რომასთან" ამხანაგურ მატჩში ოლივიე დაკურთან ჩხუბისთვის დასაჯეს. ეს შეხვედრა ამერიკაში გაიმართა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა კეჟმანს სამი მატჩით უქმობა დაუდგინა.

გუშინ ჩელსელებმა ამერიკაში მომხდარი კიდევ ერთხელ ნახეს, გაარჩიეს და დაადგინეს, რომ სერბი უბრალოა. ხელახალი მოსმენის შედეგად ფორვარდი გაამართლეს და დისკვალიფიკაცია გაუუქმეს.

ეს მეტად სასიამოვნო ამბავია ჟოზე მაურინიუსთვის, რადგან „ჩელსი" პირველ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰიუზი ციხის კართან



დუგლას გრემი

„ვესტ ბრომვიჩის" 28 წლის ფორვარდ ლი ჰიუზს ქოვენთრის სასამართლომ ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. შარშან შემოდგომაზე, 23 ნოემბერს, ჰიუზი საკუთარი „მერსედესით" დაეჯახა ავტომობილს, რომელითაც 56 წლის დუგლას გრემი ოჯახითურთ მგზავრობდა. ფეხბურთელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მხოლოდ 36 საათის შემდეგ გამოცხადდა ქალაქის პოლიციის განყოფილებაში.

დუგლას გრემი გარდაიცვალა. ჰიუზი გაუფრთხილებლობით მკვლელობაში დაადანაშაულეს. საქმის ძიება ცხრა თვეს გაგრძელდა და გაირკვა, რომ ფეხბურთელი საჭესთან ნასვამი იჯდა. მას პაბში ორი ჭიქა ვისკი დაულევია.



ლი ჰიუზი

**ვაჟა ხუციშვილი**

ოპტიმიზმის ახალი ტალღა სცემს ბებერ „ენფილდს", სადაც ახალ მენეჯერად მისული ესპანელი რაფაელ ბენიტესი, ვისთან ერთადაც „ლივერპული" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს.



# ახალი ტალღა
## ბენიტესმა ლივერპულს შეტევა დაუბრუნა

ჟერარ ულიეს უკანასკნელი სეზონი მერსისაიდელთა სათავეში კომმარული იყო — ინგლისის 18-გზის ჩემპიონი 30 ქულით ჩამორჩა „არსენალს".

მაგრამ ეს წარსულია: ამხანაგურ მატჩებშივე ბენიტესი (ვინც შარშან „ვალენსია" გააჩემპიონა) გუნდს უბრუნებს აუცილებელი მოგების უნარს.

შეტევა: აი, რა აჩვენა „ლივერპულმა" ამერიკულ ტურნეში. კიგანის, დალგლიშის, რაშის დრო — აი, რა გაახსენა კოპის ფანობას. ის დრო, როცა „ლივერპულთან" თამაში სიკვდილს ნიშნავდა.

„მე ჩემი აზრები მაქვს და საბედნიეროდ, ეს აზრები გულშემატკივრებისას ემთხვევა — ამბობს ბენიტესი — სისწრაფე, კარგი განწყობა და დადებითი აგრესია. აი, ჩვენი ფეხბურთი. ბურთის ფლობა და მოწინააღმდეგისთვის სივრცის შეზღუდვა, აი, რა გვინდა".

ბენიტესს „ოსერიდან" მიყვანილი ჯიბრილ სისეც ეხმარება — ულიეს უკანასკნელი შენაძენი, რომელმაც ორი გოლი გაუტანა გლაზგოს „სელტიკს" 5:1-ზე მოგებულ მატჩში.

სტილური ფეხბურთი, შეტევა და გამარჯვება, ულიეს კონტრშეტევების შემდეგ ყველას უხარია. ულიეს სიფრთხილემ ფეხბურთელებიც შებორკა, ახლა კი მათ თამაში სიამოვნებთ. ბენიტესი ცნობილია როგორც კარგი ტაქტიკოსი, დამგეგმავი და სწორად გადამწყვეტი კაცი, მის საგუნდო სამზარეულოზე მისი ნაბიჯებიც მეტყველებს. მაგალითად, თადარიგში და დაცვაში ჩამკვდარი იგორს ბისკანს ძირითადში მოხვედრის შანსი აქვს. სტივ ფინანის ნაცვლად კი მარჯვენა მცველად „მალაგიდან" მიყვანილი ხოსემი ითამაშებს.

„ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის მატჩით იწყებს სეზონს — ავსტრიულ „გრაცს" ხვდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფერნანდესს პორტუ აჩუქეს

პორტუგალიური პრესის ცნობით, „პორტუს" მწვრთნელად გუშინ ვიქტორ ფერნანდესი დანიშნეს. შეგახსენებთ, რომ გუნდის ყოფილ თავკაც ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ გუნდი ლუიჯი დელ ნერის ჩააბარეს, მაგრამ იტალიელი ორი თვეც კი არ გააჩერეს. დელ ნერი სამი დღის წინ კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო გაათავისუფლეს. 43 წლის ვიქტორ ფერნანდესი, რომელსაც ადრე „სარაგოსაში" და „სელტაში" უმუშავია, აგენტთან ერთად „პორტუს" პრეზიდენტ ჟორჟე და კოშტას შეხვდა, საუბრისას პორტუგალიელი და ესპანელი ყველაფერზე მორიგდნენ, ოღონდ ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებიათ.



**ვაჟა ხუციშვილი**



# საშიში ზარი

## ბექჰემს შვილების გატაცებით დაემუქრნენ

მადრიდის „რეალის“ ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექემი და მისი მეუღლე ვიქტორია ადამსი ლამორალეხას პრესტიჟულ უბანში სახლის დაცვას აძლიერებენ. ბრიტანული „სანდი მირორის“ ცნობით, ბექემს დამნაშავეთა სამყარო შვილების, 5 წლის ბრუკლინისა და 2 წლის რომეოს გატაცებით ემუქრება.

ფეხბურთელისთვის ორი დღის წინ უცნობს დაურეკავს და შესაძლო გატაცების შესახებ უცნობებია. სწორედ ამის გამო ბექემის ოჯახობას 6 შეიარაღებული პირადი მცველი (4 ინგლისელი და ორიც ესპანელი) გვერდიდან არ სცილდება.

მადრიდის პოლიციის შეფი „სანდი მირორის“ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს, ბექემების ოჯახთან დაახლოებულნი კი კრიმინალთა მუქარით ფრიად შეშფოთებულნი ჩანან. „ვიქტორია და დევიდი ბავშვების უსაფრთხოებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ვფიქრობ, ეს უბრალოდ ბოროტი ხუმრობა არ უნდა იყოს. დამნაშავეები უკიდურესად საშიშნი არიან და საქმეს თუ სერიოზულად არ მოვეკიდებით, ნებისმიერ დროს შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს“ — თქვა გალაქტიკური წყვილის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელმაც ჟურნალისტთან საუბრისას ვინაობის გამხელა არ ისურვა.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემი კრიმინალური სამყაროს სამიზნედ პირველად არ იქცა. რამდენიმე ხნის წინ ინგლისში იქაურმა პოლიციამ დევიდის კარმიდამოში ბენზინის ბალონით შეპარული კაცი დაიჭირა.

ხოლო, ჯერ კიდევ „მანჩესტერში“ თამაშისას ხუთი აზიელი კრიმინალი ბექემებს სწორედ ბავშვების გატაცებით დაემუქრა.

**ლადო ხომერიკი**



# დღე პირველი

## პორტუგალიის რვეული




## 5 მარში

ერთი შეხედვით, ეს უცნაური იყო.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის ნაკრები უკვე ევროპის ჩემპიონია, მათგან ჩეხების ძლევა ძნელი წარმოსადგენი იყო. ისევე, როგორც მანამდე პორტუგალიელების და სხვა დანარჩენთა ძლევა იყო ძნელი წარმოსადგენი. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბერძნები ფინალში გავიდოდნენ.

საერთოდ, ეს ევროპის ჩემპიონატი იმითაც გამოირჩეოდა, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გუნდებს ზურგსუკან არაფერი აღმოაჩნდებოდათ ხოლმე. ანუ იმ გუნდისგან, რომლისგანაც რაღაცას ელი, უცებ აღარაფერი დარჩებოდა და გაირკვეოდა, რომ მოქნილი ტაქტიკის, ჭკვიანური ნახაზების მიუხედავად, გუნდს არაფერი გამოსდის: რა თქმა უნდა მაშინ, როცა საგანგებო ვითარებაშია ჩავარდნილი, ანუ გუნდი მარაგის გარეშე თამაშობს.

„დრაგაუს“ სტადიონი ძლივს შეავსეს ბერძნებმა და ჩეხმა გულშემატკივრებმა. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთს უკვე ჰქონდა სახელი და ასჯერ იმაზე მეტი, რასაც მოელოდნენ, ჩეხები მაინც ფავორიტებად რჩებოდნენ.

სხვანაირად არც შეიძლებოდა: ჩეხურ სისწრაფეს შეეძლო მოესპო ბერძნები, მაგრამ ასე არ მოხდა: ჩეხური ტანკები ბერძნულ ჭაობში ჩაეფლნენ და ყველაფერიც აქ დამთავრდა.

უფრო სწორად, არც დამთავრებულა: უბრალოდ, ჩეხებმა 90 წუთში ვერ მოუგეს ბერძნებს. მერე კი ბერძენთა მკვლელი კუთხური და ნახვამდის, კარგად იყავი. ასეთი მკვლელი კუთხური სამი დღის თავზე, ფინალშიც გაახერხეს ბერძნებმა. ცხადია, ნავარჯიშევი რამ იყო, ხან ვინ გამოხტებოდა მეკარის მოედანში, ხან ვინ. ბურთი ზუსტად მიდიოდა. იშვიათი სიზუსტით, თუმცა როგორ აღწევდა იმ ადგილამდე დღევანდელ მცველთა გონიერებისა და ჯანის გავლით, საიდუმლოა. მაგრამ ბერძნებს სხვაც ბევრი ჰქონდათ. ჩეხები ბევრად სწრაფად ათამაშებდნენ ბურთს და რახან სახიფათო ბევრი არაფერი გამოდიოდათ, შესაბამისად, იოლად ელეოდნენ მას. მერე ბერძნები ცენტრში მიიტანდნენ ბურთს და იქიდან იწყებოდა მრავალსვლიანი თამაში, რომელსაც გვარიანი დრო მიჰქონდა და რომელსაც სათავეში ზაგორაკისი ედგა.



და ბედი არ გინდა? ჩეხებს ხომ ნედვედი გამოაკლდათ. იოლი სათქმელია, რომ ჩეხთა გუნდი იქ დამთავრდა, სადაც ნედვედი გამოაკლდათ. ნედვედის გასვლამ ბერძნებს სწორედ რომ იმ თავიანთ საყვარელ შუა მოედანში გაუადვილათ საქმე. მათი გვიანი გოლი ბრმა არ იყო, მაგრამ მაინც რაღაცნაირ წყალობას ჰგავდა. ღმერთს კი არ უჩუქნია ოტო რეჰაგელისთვის, მაგრამ ჩეხებს კი ნამდვილად წაართვა რაღაც.

საერთოდ, ნახევარფინალი იყო ჩეხების ყველაზე უვარგისი თამაში ამ ჩემპიონატზე, ისევე როგორც მეოთხედფინალი ფრანგების ყველაზე უვარგისი თამაში ამავე ჩემპიონატზე. ორივე შემთხვევაში, მეტოქედ საბერძნეთი იყო და ორივე შემთხვევაში წაგებულებს არ აღმოაჩნდათ მარაგი ექსტრემალური ვითარებისთვის.

ფრანგების და ჩეხების შედარება ძნელია. ჩეხები ბევრად უკეთესნი იყვნენ და სიმართლე ითქვას, მწვრთნელიც ბევრად უკეთესი ჰყავდათ, მაგრამ აქლემი ხომ ისე არ წაიქცევა, რომ ვირის ტვირთი ვერ წაიღოს? ფეხბურთელები ფრანგებს უფრო განთქმულნი მოუგროვდათ. მაგრამ ამ გუნდების სათავდასხმო უნარებს ვერც კი შეადარებდით. ტიერი ანრი ისე თამაშობდა, ძალიან გამხდარი ბიჭები რომ თამაშობენ ეზოში. ზინედინ ზიდანი, თავისი გოლების მიუხედავად, ჰგავდა ღმერთის ჩრდილს. ნედვედი და მილან ბაროში კი სუპერფორმაში იყვნენ. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ორივემ ერთი იერით წააგო ბერძნებთან. დაცვაზე ლაპარაკი აღარც არის საჭირო: ჩეხეთი ლიად შემტევი გუნდი იყო და თუ გაუშვებდა, გაჰქონდა კიდეც. ფრანგები ცოტას უშვებდნენ, მაგრამ გატანა უჭირდათ.



სერჟანტი ზაგორაკისი

დიახ, ბერძნებმა ორივე ერთნაირად დაამარცხეს. მთვლემარე მცველები: აი, ამ ჩემპიონატის კიდევ ერთი სიმბოლო. მოულოდნელად ჩათვლემილი განთქმული, კარგი, ღონიერი, ჭკვიანი მცველები. საერთოდ, თუ ივარგა ვინმემ ამ ხელობის მცველთა შორის, ისევ ბერძნებმა, ინგლისელებმა და პორტუგალიელებმა. ისინიც ცდებოდნენ, მათაც მიიტანეს გოლები თავიანთ კარში მოულოდნელ შეცდომათა წყალობით, მაგრამ ამ გუნდების დაცვას შეეხედებოდა. შეგვეძლო აღარც გვეთქვა ჰოლანდიაზეც, მაგრამ ჰოლანდია გუნდი არ იყო. უბრალოდ, ჰოლანდიელები იმდენად დიდოსტატები არიან, რომ მაინც გამოსდით ხოლმე რაღაც და ამ გუნდზე ნამდვილად ვერ იტყვი, რომ სტრატეგია ჰქონდა.

საერთოდ, მარაგის გარეშე თამაში აქ ნამეტანი მიღებული იყო. ყველამ ვიცით, რომ ამგვარ ტურნირზე ძალების განაწილებაა საჭირო. მაგრამ ეს ამბავი თითქოს თავიდანვე ჩაიშალა. გახსნის თამაშმავე ჩაშალა. პირველივე საღამოს ის მოხდა, რასაც ბევრი არავინ ელოდა: პორტუგალიამ წააგო ბერძნებთან და ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ ძალებს ვერაფრით შეინახავდა. ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და ესპანეთს კი არაფერი ჰქონდათ შესანახი. იტალიელებმა ერთი დიდებული ტაიმი ითამაშეს შვედების წინააღმდეგ, ინგლისელებმა საერთოდაც კარში დგომა არჩიეს, ფრანგებმა თავიანთი საუკეთესო თამაში პირველივე ტურში აჩვენეს, ხოლო ესპანელებმა საერთოდ ვერ შეძლეს იმის წარმოჩინება, რაც შეეძლოთ. გერმანიაზე დავდუ-



ლუიშ ფიგუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღე უკანასკნელი

მდეთ. მაგრამ მოდით, აბა, დავფიქრდეთ, რით სჯობდა საბერძნეთი თუნდაც დანიას და შვედეთს?

უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდა? თუ თამაში უკეთ ჰქონდა მოწყობილი? რაც უნდა თქვა, ბერძენი თავდამსხმელები არ სჯობდნენ ზლატანს და ჰენრიკ ლარსონს. იონ დალ ტომასონი საერთოდაც ბრწყინვალე იყო, მაგრამ აბა, უყურეთ: დალ ტომასონი თავდამსხმელად არის ცნობილი, მისთვის ახალ პოზიციაზე, რომელიც ხანდახან კარიდან კარამდეც კი იწელებოდა, ის საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ დაგეთვალათ, რამდენი წუნი ჰქონდა დანიელთა შუა მოედნის პატრონს ტომას გრავესენს. ამ ქაჩალმა კაცმა თამაში იცის, პასის მიმართულებაც ზუსტად აქვს განსაზღვრული, მაგრამ პასი ძალიან ხილული აქვს, ყველაფერს დიდხანს უნდება. თანაც, გადანოდება გრძელი, საშუალო სიმაღლისა და სიმაგრის უყვარს, ერთგვარად ძველმოდური, ახლანდელ ფეხბურთში იოლად ჩასაჭრელი. როცა შეტევას ასეთი პასებით იწყებ, ცხადია, საქმე კარგად არ წავა. ზაგორაკისს საერთოდ არ ჰქონდა ასეთი პასი. საერთოდ, ბერძნები არ მისდევდნენ გრძელი პასის, ჩაკიდების, სადავო ბურთის ტაქტიკას. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გუნდი, რომელიც ყველაზე მეტად უფრთხილდებოდა ბურთს და ყველაზე უკეთ მოიპოვებდა მას.

მოკლედ, რომ მოვთვალოთ, ბერძნები ყველაზე უკეთ ართმევდნენ ბურთს მეტოქეს და ყველაზე ზუსტად ათამაშებდნენ მას. თუნდაც ამით სჯობდნენ დანიელებს და შვედებს. ცოტა გაჰქონდათ, მაგრამ არ უშვებდნენ.

ესეც არ იყოს და ბერძნებს მოედანზე არ ჰყავდათ უქმი ფეხბურთელები, როგორებიც შვედთა და დანიელთა შორის ნამდვილად შეინიშნებოდნენ. მაგალითისთვის ებე სანდიც კმარა. საერთოდ კი ბერძნები არც ერთხელ არ მოხვედრილან რაიმე დრამატულ მომენტში. ასეთში სულ მათი მეტოქეები ხვდებოდნენ. პორტუგალიელებს ჰყავდათ კარაგუნისსა და ხარისტეასზე უკეთესი ფეხბურთელები, მაგრამ არცერთ ბერძენს არ დამართნია ისეთი რამ, რაც დაემართა პაულეტას ექვსი თამაშის განმავლობაში და არცერთ ბერძენს არ დამართნია ის, რაც მიგელს შეემთხვა ფინალში და რამაც იმ გადამწყვეტ თამაშში მართლაც მწყობრიდან გამოიყვანა პორტუგალიის ნაკრები.

ეს ყველაფერი მაინცდამაინც იღბალს არ მიეწერება. ბერძნებმა საუკეთესოდ გაწვლეს საკვალიფიკაციო ეტაპი და ყველაზე კარგად მოემზადნენ ევროპის ჩემპიონატისთვის. ყველაზე სწორად მოემზადნენ. ისინი ტყუილად არ უწოდებენ თავიანთ მწვრთნელს ზევსს. ასე გუნდს მართლაც მხოლოდ ზევსი თუ მოამზადებდა. რეჰაგელმა ყველას უჩვენა, ათი ჯარისკაცი და ერთი ჭკვიანი სერჟანტი გვარად ზაგორაკისი მეტს გააკეთებენ, როცა გენერლისა სჯერათ და ეიმედებათ, ვიდრე თერთმეტი პახმელიაზე მყოფი პოლკოვნიკი. ჩემპიონატის სურათი ასეთი იყო: ვარსკვლავები, იშვიათი გამონაკლისის გარდა მოქანცულნი იყვნენ. ვინც არ იყო და გზადაგზა მოიქანცა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ფიგუ პირდაპირ კვდებოდა მოედანზე, თუმცაღა თავს იკლავდა, ვთქვათ, ბექემისა და რაულისგან განსხვავებით. ვინც გაიბრწყინა, ის მსოფლიო სანაკრებო ფეხბურთისთვის ახალი იყო: მილან ბაროში და, რა თქმა უნდა, რუნი. ამგვარ ვითარებაში გადამწყვეტი ხდება საშუალო, ჩვეულებრივი ფეხბურთელის მზადყოფნა. დღეს ყველა ფეხბურთელი ერთნაირადაა განათლებული, ანუ სათამაშო ინტელექტი მაღალია. უბრალოდ, ვიღაცას შეუძლია ჯადოსნობის გაკეთება, ვიღაცას კი არა: ამით განსხვავდებიან ვარსკვლავები და ჩვეულებრივი მოთამაშეები. მაგრამ რახან ჩვეულებრივი მოთამაშეები განათლებით და სწავლით სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ვარსკვლავებს, მათი მზადყოფნა ხშირად გადამწყვეტია ხოლმე. ამიტომ, ჩავარდება წამი და გადამწყვეტი სწორედ ჩვეულებრივი მოთამაშის მიერ კარგად ნასწავლი ილეთი ხდება.

ცხადია, ეს რეჰაგელმაც იცის.

მან საუცხოოდ მოამზადა ბერძნები. იმისგან, რაც ჰქონდა, მან მართლაც შექმნა ზევსის ქანდაკება. ჰქონდა რეჰაგელს სტრატეგია? ფიქრობდა, რომ ფინალში გავიდოდა? მე რომ მკითხოთ, მას ჰქონდა სტრატეგია, ისევე როგორც ჰქონდა სკოლარის, რომელმაც ეს სტრატეგია პირველივე ღამეს ნაგვის ყუთში მოისროლა და ახალი, თავზეხელაღებული სტრატეგია დასახა და ისევე როგორც ერიკსონს, რომელიც ცდილობდა მცირე სისხლით ემოქმედა, მაგრამ რუნის ტრავმამ ნამდვილად წაუხდინა საქმე. ზემოთ მარაგზე რომ ვლაპარაკობდით, სწორედ აქ დაეცა ლახვარი ინგლისს: შვედის მთელი მარაგი უეინ რუნი იყო. რეჰაგელს კი არ ჰყავდა რუნი. მისი მარაგი იმდენი იყო, რომ საბჭოთა კონსერვების მარაგი იმასთან მონაგონია, მას არ ჰყავდა რუნი, მაგრამ მისი დაკარგვის შემთხვევაში არც წახდებოდა. რეჰაგელს ყველაფერი ძალიან ღრმად და მკვიდრად ჰქონდა ნაგები და რუსეთთან რომ აგებდა, გუნდი პანიკაში არ ჩავარდნილა, წინ ბურთის ხათქუნით არ უცდია ანგარიშის გაქვითვა. ბერძენთა მიერ ნაგებული ეს თამაში როგორღაც უყურადღებოდ დარჩა. არადა, ეს იყო ერთადერთი თამაში, რომელსაც რეჰაგელი აგებდა და თანაც ორი ბურთით. ეს იყო გადამწყვეტი თამაში, დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, რომ პორტუგალია ესპანეთს მოუგებდა.

სხვა ყველა მატჩი ბერძნებმა მეორე ნომრად ითამაშეს. ისინი იდგნენ და ელოდნენ. აქ კი უნდოდათ თუ არა, აუცილებლად უნდა შეეტიათ. შეუტიეს, გამოუვიდათ. ეს არ იყო მარტივი და უბრალოდ კარგად ორგანიზებული გუნდი. ამ გუნში ყველა თამაშობდა. ჩავარდნილი, აჭრილი და ნერვებდაგლეჯილი არავინ იყო.

ჩემპიონობას ათასი რამ სჭირდება. შეიძლება ყველაფერი ბრჭყვიალა არ იყოს, მაგრამ ადგილზე უნდა იყოს.

ოღონდაც, რეჰაგელი უფრო ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრობდა. მერე კი მადა ჭამაში მოვიდა და ბერძნებმა სამი მკვლელი თამაში გასწიეს. ამ მატჩების თამაში ძალიან ძნელი იყო.

მაგრამ რეჰაგელმა ჩვენზე ადრე იცოდა მთავარი: აქ მარაგის გარეშე თამაშობენ. ვეღარავინ ახერხებს რაღაც შემოინახოს.

*გაგრძელება იქნება*





მილან ბაროში



პაველ ნედვედი და ჩეხეთი ერთად წაიქცნენ

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიელი** თავდამსხმელის ალბერტო ჯილარდინოს გადაბირება თურმე ჩემპიონ „მილანსაც" სურს. „შავ-წითლები" ტრავმირებული ფილიპო ინძაგის შემცვლელს ეძებენ, რომელზედაც ამბობენ, მთლიანი თუ არა, ნახევარი სეზონი გაუცდებაო. ჯილარდინოს მსურველები კი იცით, „იუვენტუსი", „რომა" და „რეალი" არიან. თუმც „პარმას" ფორვარდი „ტარდანიზე" დარჩებაო, რამდენჯერმე აღნიშნა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ. 23 წლის ჯილარდინო კი ახლა იტალიის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად საათენოდ ემზადება.

**რუსული** „ალანიას" ფრანგი მწვრთნელი როლან კურბისი გუნდიდან წასვლას აპირებს. თუ ორი საშინაო მატჩი ვერ მოვიგეთ, დავიხურავ ქუდს და სანამ გამაგდებენ, მანამ თავად წავალო — უთქვამს კურბისს.

**რუმინელი** ფორვარდი ვიორელ განია ტრავმირებულია. ინგლისური „ვულვერჰემპტონის" თავდამსხმელმა მუხლი ერთ-ერთი ამხანაგური მატჩისას დაიზიანა და როგორც ამბობენ, სულ ცოტა, ნახევარი წელი ვერ გაეკარება მინდორს. განია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევის საწყის სამ თამაშსაც გამოტოვებს, რუმინეთის ნაკრებს კი მისი სახით მეორე ძლიერი ფეხბურთელი გამოაკლდა — იცით, ცოტა ხნის წინ კაპიტანმა კრისტიან კივუმ ფეხი მოიტეხა.

**ინგლისური** „ტოტენჰემი" „ლივერპულის" ნახევარმცველ დენი მერფის პირად კონტრაქტზე ვერ მოურიგდა, არადა ფეხბურთელის ლონდონში გადაბარგება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავი იყო. „ლივერპულში" რაფაელ ბენიტესის გამწვრთნელების მერე გუნდში საქმე ისე აეწყო, რომ მერფის ძირითად შემადგენლობაში თამაში საეჭვო გახდა. ამიტომაც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ჟაკ სანტინის „ტოტენჰემში" გადაბარგება არჩია, მაგრამ სამ მილიონ გირვანქად შეფასებულმა მერფიმ, ზემოთაც ვთქვით, ლონდონელებს პირადი კონტრაქტი დაუწუნა.

**გერმანული** ბუნდესლიგის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი, თუ იქაურ პრესას ვენდობით, მიუნხენის „ბაიერნისა" და ბუნდესნაკრების მეკარე ოლივერ კანია, რომლის წლიური შემოსავალი, სარეკლამოების ჩათვლით, 5 მილიონი ევროა. მილიონით ნაკლებს იღებს „შალკეს" ბრაზილიელი თავდამსხმელი აილტონი. მესამე ადგილზე კი 3,5 მილიონი ევროთი ერთბაშად ორი ფეხბურთელია — სებასტიან დაისლერი და იენს ნოვოტნი. ბუნდესმწვრთნელთა შორისაც „ბაიერნის" თავკაცი ფელიქს მაგათი პირველობს, იგი წლიურად 3 მილიონი ევროთი ამდიდრებს საკუთარ ბიუჯეტს.

# ყველაფერი ვალენსიას

## ალბელდას სიყვარულს ფულით ვერ იყიდი

ესპანეთის ჩემპიონისა და უეფას თასის მფლობელის, „ვალენსიას" კაპიტანი დავიდ ალბელდა თავისი გუნდის ერთგულია და უახლოეს მომავალში სხვაგან გადასვლას არ აპირებს. ალბელდამ მადრიდის „რეალის" ყოვლისშემძლე პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს მეორედ უთხრა უარი, ხოლო ერთ-ერთ ვალენსიური გაზეთის კორესპონდენტს გაუმხილა — ყველა დიდი ჯილდო „მესტალიაზე" უნდა დარჩესო



—„რეალს" თქვენი შეძენა გასულ სეზონშიც სურდა, ფლორენტინო პერესი თქვენი „ბერნაბეუზე" გადაყვანით რამდენიმე ხნის წინ ისევ დაინტერესდა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ამ გარიგებაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. „რეალი" შარშანაც აწარმოებდა ჩემთან მოლაპარაკებას და ამ ზაფხულსაც, წარმომადგენლები რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ამით ამოიწურა ყველაფერი.

— ანუ პერესის შემოთავაზება თქვენ და „ვალენსიამ" ერთობლივად უარყავით?

— დიახ და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

— „რეალმა" პატრიკ ვიერამდე მადრიდში თქვენი ჩაყვანა მოინდომა, იქამდე კი „ბარსელონა" და კიდევ რამდენიმე სხვა კლუბიც იგივეს ცდილობდნენ...

— ძალიან სასიამოვნოა, როცა ძლიერი გუნდები ჩემით ინტერესდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ალბელდას სათამაშო დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა აქ „ვალენსიაც" არ უნდა დავივიწყოთ — უკვე რამდენიმე წელია, რაც პრიმერადივიზიონის ელიტაში ვიმყოფებით და ამიტომაც ცნობილმა სპეციალისტებმა კლუბის ფეხბურთელებს ყურადღება მოგვაქციეს. დარწმუნებული ვარ, შარშანდელ სეზონში ცხრილის შუაგულს ქვევით რომ ჩავრჩენილიყავით, სატრანსფერო წინადადებით არავინ მომაკითხავდა.

— „ვალენსია" თქვენთვის რას ნიშნავს?

— „ვალენსია" ჩემთვის უბრალო კლუბზე გაცილებით მეტია. მე ეს გუნდი მიყვარს და აქ შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

— გინდათ, თქვათ, რომ ამ სიყვარულს ვერც ერთი საფეხბურთო გიგანტი ვერანაირი თანხით ვერ იყიდის?

— რა თქმა უნდა. „მესტალიაზე" ბედნიერი წლები გავატარე, აქაურ ინჩასობასთან უამრავი კარგი რამ მაკავშირებს... მართალს ამბობთ, სიყვარულს ფულით ვერ იყიდიან.

— მიუხედავად ამისა, თუ ყოფილა თქვენ ცხოვრებაში შემთხვევა, როცა სარფიანი შემოთავაზების გამო „ვალენსიას" მიტოვება მაინც გიფიქრიათ?

— ასეთი შემთხვევა ყველა ფეხბურთელს ჰქონია და, რასაკვირველია, მეც. მაგრამ დიდი ხელფასი ჯერ კიდევ არაა ის ფაქტორი, ადამიანმა შეჩვეული ადგილი უმალ მიატოვო.

— რატომ, პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა ძალიან ხანმოკლეა, შეიძლება, მეორეჯერ მსგავსი შანსი აღარ მოგეცეთ...

— ესეც მართალია, თუმც სხვა გუნდში გადასვლისას მეტ ფულთან ერთად მეტი პრობლემებიც შემხვდებოდა — შეუჩვეველი გარემო, ცხოვრების თავიდან დაწყება. ერთი სიტყვით, ახლაც რომ მომმართონ სატრანსფერო თხოვნით, ისევ „ვალენსიაში" დარჩენას ვამჯობინებ.

— გუნდში იტალიელების მოსვლაზე რას ფიქრობთ?

— იმას, რომ ახალი ძალებით 2004-05-ის სეზონში უფრო მეტს გავიმარჯვებთ, ვიდრე შარშან. ეგებ სხვა გუნდებს არ ეჭაშნიკოთ, მაგრამ მაინც პირდაპირ გეტყვით — ჩვენი მიზანი ყველაფრის მოგებაა — პრიმერას ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა, კოპა დელ რეი და ესპანეთისა და ევროპის სუპერთასი, ეს ჯილდოები „მესტალიაზე" უნდა დარჩეს.



დავიდ ალბელდას დაცვაც ეხერხება და შეტევაც

## ბრაზილია

### სერია A. XXII ტური

ფლუმინენსე — პარანა 3:1; გოიასი — კურიტიბა 1:2; ატლ. მინეირო — გრემიო 3:0; სანტოსი — სან კაეტანო 0:1; ინტერნასიონალი — პონტე პრეტა 1:2; ფლამენგო — სან პაულუ 1:0; ვიტორია — კრუზეირო 3:2; კორინთიანსი — ბოტაფოგო 2:2; გუარანი — პაისანდუ 0:0; ჟუვენტუდე — ფიგეირენსე 0:0; კრისიუმა — პალმეირასი 1:2; ატლ. პარანენსე — ვასკუ და გამა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 22 | 12 | 2 | 8 | 48:34 | 38 |
| სან პაულუ | 22 | 11 | 5 | 6 | 28:22 | 38 |
| პონტე პრეტა | 22 | 12 | 2 | 8 | 24:31 | 38 |
| პალმეირასი. | 22 | 10 | 7 | 5 | 33:18 | 37 |
| ატლ. პარანენსე | 22 | 11 | 4 | 7 | 39:25 | 37 |
| გოიასი | 22 | 10 | 6 | 6 | 44:35 | 36 |
| ჟუვენტუდე | 22 | 10 | 5 | 7 | 27:25 | 35 |
| ფიგეირენსე | 22 | 8 | 10 | 4 | 27:19 | 34 |
| კრისიუმა | 22 | 9 | 5 | 8 | 39:35 | 32 |
| სან კაეტანო | 22 | 9 | 5 | 8 | 23:20 | 32 |
| ფლუმინენსე | 22 | 8 | 7 | 7 | 28:29 | 31 |
| კრუზეირო | 22 | 9 | 4 | 9 | 29:31 | 31 |
| კორინთიანსი | 22 | 8 | 7 | 7 | 25:33 | 31 |
| კურიტიბა | 22 | 7 | 9 | 6 | 25:24 | 30 |
| ვიტორია | 22 | 8 | 5 | 9 | 39:37 | 29 |
| ინტერნასიონალი | 22 | 8 | 4 | 10 | 28:28 | 28 |
| ვასკუ და გამა | 22 | 7 | 6 | 9 | 33:31 | 27 |
| ატლ. მინეირო | 22 | 6 | 9 | 7 | 31:32 | 27 |
| გრემიო | 22 | 6 | 7 | 9 | 32:32 | 25 |
| პაისანდუ | 22 | 5 | 7 | 10 | 26:39 | 22 |
| ბოტაფოგო | 22 | 4 | 9 | 9 | 27:34 | 21 |
| გუარანი | 22 | 5 | 6 | 11 | 17:28 | 21 |
| ფლამენგო | 22 | 4 | 8 | 10 | 18:26 | 20 |
| პარანა | 22 | 5 | 5 | 12 | 18:40 | 20 |

## აშშ

### MLS. XX ტური

ნიუ ინგლენდი — კოლამბუსი 2:2; დალასი — კოლორადო 1:0; სან ხოსე — ვაშინგტონი 2:0; ნიუ იორკი — ლოს ანჯელესი 3:0. *ჩიკაგო — კანზასი გადაიდო*

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი XIII ტური

რეიკიავიკი — ვესტმანაეიარი 0:0; ჰაფნარფიორდური — ვიკინგური 0:0; აკურეირი — აკრანესი 0:5; კეფლავიკი — ფილკირი 4:2

## შვედეთი

### ალსვენსკა. XV ტური

იურგორდენი 1:1 ლანდსკრონა
ჰამარბი 1:1 იორებრო
ჰელსინგბორგი 4:0 ელფსბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 14 | 9 | 3 | 2 | 33:16 | 30 |
| მალმიო | 14 | 8 | 5 | 1 | 22:6 | 29 |
| ჰამარბი | 15 | 8 | 4 | 3 | 19:12 | 28 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 4 | 4 | 15:11 | 22 |
| კალმარი | 14 | 5 | 6 | 3 | 17:13 | 21 |
| ელფსბორგი | 15 | 5 | 4 | 6 | 12:20 | 19 |
| სუნდსვალი | 14 | 4 | 6 | 4 | 15:16 | 18 |
| იურგორდენი | 15 | 4 | 6 | 5 | 21:23 | 18 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 4 | 5 | 6 | 28:20 | 17 |
| იორებრო | 15 | 4 | 5 | 6 | 18:30 | 17 |
| იორგრიტე | 14 | 2 | 7 | 5 | 13:18 | 13 |
| ლანდსკრონა | 15 | 2 | 7 | 6 | 14:22 | 13 |
| აიკ | 14 | 3 | 4 | 7 | 9:17 | 13 |
| ტრელებორგი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:22 | 10 |

### სუპერეტა. XVIII ტური

ბოდენსი — ბრაგე 1:1; გეფლე — ასირისკა 3:1; ვასკერასი — ბრომაპოიკარნა 1:0; ფრიოლუნდა — იოსტერსი 2:3; კაფე ოპერა — ჰეკენი 2:0; გაის — ენჩიოპინგი 2:1; ფალკენბერგი — ფრისკა 1:2

## ამხანაგური მატჩი

მალაგა 1:1 სევილია

## სლოვენია

### სი მობილ—ლიგა. II ტური

პუბლიკუმი — კოპერი 3:0; ბელა კრაინა — მარიბორი 1:2; დრავა — მურა 2:0; ზაგორიე — დომზალე 3:2; ნოვა გორიცა — ლიუბლიანა 0:0. *ოლიმპია — პრიმორიე გადაიდო*

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა გადადებული მატჩები

კტპ — ჰაამენლინა 1:0; ტპ-47 — ჰიკ 1:2; ტურკუ — როვანიემი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 17 | 11 | 4 | 2 | 34:9 | 37 |
| ტურკუ | 17 | 9 | 3 | 5 | 26:20 | 30 |
| ჰიკ | 17 | 7 | 8 | 2 | 28:18 | 29 |
| ინტერი | 17 | 9 | 2 | 6 | 33:26 | 29 |
| ალიანსი | 16 | 8 | 4 | 4 | 20:16 | 28 |
| ტამპერე | 16 | 8 | 3 | 5 | 25:14 | 27 |
| კტპ | 17 | 7 | 5 | 5 | 24:20 | 26 |
| მიუპა | 17 | 7 | 5 | 5 | 20:19 | 26 |
| ტპ-47 | 19 | 7 | 4 | 8 | 28:27 | 25 |
| ლაჰტი | 18 | 5 | 9 | 4 | 21:23 | 24 |
| ჯაზი | 18 | 4 | 5 | 9 | 26:39 | 17 |
| როვანიემი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:35 | 16 |
| იარო | 18 | 3 | 2 | 13 | 18:37 | 11 |
| ჰაამენლინა | 18 | 1 | 6 | 11 | 19:37 | 9 |

## სერბეთი

### პრვა ლიგა. I ტური

ზემუნი — ბუდუჩნოსტი 5:3; ზეტა — რადნიჩკი 2:0; ჩუკარიჩკი — ჰაიდუკი (კულა) 1:3; ჰაიდუკი (ბელგრადი) — სარტიდი 0:0; ცრვენა ზვეზდა — ბორაცი 0:1; სუტიესკა — პარტიზანი 1:4. *ოფკ — ჟელეზნიკი და ვოივოდინა ობილიჩი გადაიდო*

## დანია

### I დივიზიონი. II ტური

ბრიონსჰიოი — ჰიკ 3:4; დალუმი — სკიოლდი 1:3; აკადემისკი — ფრედერისია 2:1; ფრემადი — ვაილე 4:0; კიოგე — ნესტვედი 2:2; ჰორსენსი — სონდერიულანდი 1:2; ნიკიობინგი — ფრემი 2:4

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVII ტური

ჰამ კამი 0:2 ბოდიო გლიმტი
რუსენბორგი 4:1 ლილესტრიომი
სოგნდალი 1:1 ლინი
ტრომსიო 2:1 სტაბეკი
ვოლერენგა 3:0 ფრედრიკსტადი
ოდ გრენლანდი 0:2 ბრანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 17 | 9 | 6 | 2 | 36:20 | 33 |
| ტრომსიო | 17 | 10 | 2 | 5 | 30:20 | 32 |
| ლილესტრიომი | 17 | 7 | 6 | 4 | 36:21 | 27 |
| ვოლერენგა | 17 | 7 | 6 | 4 | 20:16 | 27 |
| ბრანი | 17 | 8 | 2 | 7 | 30:28 | 26 |
| ჰამ კამი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:24 | 26 |
| ლინი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| ოდ გრენლანდი | 17 | 5 | 7 | 5 | 29:28 | 22 |
| ბოდიო გლიმტი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:29 | 21 |
| სტაბეკი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:25 | 19 |
| მოლდე | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| ვიკინგი | 16 | 3 | 8 | 5 | 15:22 | 17 |
| სოგნდალი | 17 | 3 | 6 | 8 | 26:34 | 15 |
| ფრედრიკსტადი | 17 | 3 | 3 | 11 | 23:41 | 12 |

### I დივიზიონი. XVII ტური

ალესუნდი — პორს გრენლანდი 6:0; ბრინი — რაუფორსი 1:1; ჰაუგესუნდი — სტრომსგოდსეტი 2:1; ჰიონეფოსი — ჰიოდი 1:3; კონგსვინგერი — მანდალი 2:1; მოსი — სკეიდი 4:0; სანდეფიორდი — ვარდ ჰაუგესუნდი 9:1; სტარტი — ტრომსდალენი 6:0

რეკლამა სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ესპანური ტრანსფერები 2004-2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალენსია

**მოვიდნენ**

ფიორე (ლაციო, იტალია)
კორადი (ლაციო, იტალია)
კარეუ (რომა, იტალია)
ბუტელე (მეცი, საფრანგეთი)
პარი (ალბასეტე)
სალვა (მალაგა)
დე ლოს სანტოსი (ატლეტიკო)
ალბიოლი (უელვა)
კანეირა (ბორდო, საფრანგეთი)
დი ვაიო (იუვენტუსი, იტალია)
მორეტი (პარმა, იტალია)

**წავიდნენ**

რ. ოლივეირა (ბეტისი)
გარიდო (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
კარეუ (ბეშიქთაში, თურქეთი)
ენგიქსი (პოლი ეხიდო)
დავიდ რანგელი (ლეიდა)
ხუან სანჩესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბარსელონა

**მოვიდნენ**

ბელეტი (ვილიარეალი)
ჟიული (მონაკო, საფრანგეთი)
ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია)
დეკო (პორტუ, პორტუგალია)
სილვინიო (სელტა)
ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი)
დავიდ სანჩესი (ალბასეტე)
ფერნანდო ნავარო (ალბასეტე)

**წავიდნენ**

კლუივერტი (ნიუკასლი, ინგლისი)
სერხიო გარსია (ლევანტე)
როსი (ნუმანსია)
პიკე (მანჩესტერ იუნ, ინგლისი)
კოკუ (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
რაიციგერი (მიდლსბრო, ინგლისი)
კვარესმა (პორტუ, პორტუგალია)
მარიო (მალიორკა)
ენკე (ჰანოვერი, გერმანია)
ლუის ენრიკე (თამაში მიატოვა)
ოვერმარსი (თამაში მიატოვა)

## დეპორტივო

**მოვიდნენ**

რუბენი (ლას პალმასი)
მომო (ლას პალმასი)
ხაიმე (ჰანოვერი, გერმანია)
ხესუსი (სარაგოსა)
ხოსე მანუელი (ელჩე)
ტორო აკუნია (ელჩე)
დანი მალო (ელჩე)
ჩანგუი (ლას პალმასი)
აბრეუ (ტეკოსი, მექსიკა)

**წავიდნენ**

ივან პერესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფერნანდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯალმინია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. ჯოროვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სონგო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ამავისკა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## რეალი

**მოვიდნენ**

სამუელი (რომა, იტალია)
მორიენტესი (მონაკო, საფრანგეთი)
სელადესი (ბორდო, საფრანგეთი)
რუბენი (მიონხენგლადბახი, გერმანია)

**წავიდნენ**

კამბიასო (ინტერი, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (გალათასარაი, თურქეთი)
პორტილიო (ფიორენტინა, იტალია)
აგანსო (რასინგი)
კარლოს სანჩესი (პოლი ეხიდო)
კორალესი (ოსასუნა)
ოლალა (ლეიდა)

## ბილბაო

**მოვიდნენ**

ანგულო (ბილბაო B)
კასასი (ბილბაო B)
ასკორა (ბილბაო B)
სოლაბარიეტა (ბილბაო B)

**წავიდნენ**

ლარასაბალი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სევილია

**მოვიდნენ**

რენატო (სანტოსი, ბრაზილია)
ფერნანდო სალესი (ვალიადოლიდი)
მაკუკულა (ნანტი, საფრანგეთი)
დანი (უელვა)
ტოედტლი (უელვა)

**წავიდნენ**

ფ. გალიარდო (ხეტაფე)
მარკოს ვალესი (მალიორკა)
ხერმან ორნოსი (ვალიადოლიდი)
მარანიონი (მურსია)
ფრედი (კადისი)
ვიქტორ სალასი (პოლი ეხიდო)



არგენტინელი უგო იბარა „მონაკოდან“ „ესპანიოლში“ გაიქცა

## ატლეტიკო

**მოვიდნენ**

პაბლო (ალბასეტე)
ლეო ფრანკო (მალიორკა)
კოლსა (მალიორკა)
პერეა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
ლუქსენი (სელტა)
კორეა (მალიორკა)
ზაინოსი (პოლი ეხიდო)

**წავიდნენ**

პინოლა (რასინგი)
ტოჩე (ნუმანსია)
ხავი მორენო (სარაგოსა)
ბურგოსი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
როდრიგო (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
სერხიო სანჩესი (ხეტაფე)
ხუანმა (ნუმანსია)
ორტისი (ოსასუნა)
დე ლოს სანტოსი (ვალენსია)
ლეკი (ხეტაფე)
ამაია (ხეტაფე)
ნიკოლაიდისი (ხეტაფე)
ლედო (ვალიადოლიდი)
აგილერა (?)

## ვილიარეალი

**მოვიდნენ**

ხისკო (ნუმანსია)
ნადალი (ნუმანსია)
არმანდო სა (ბენფიკა, პორტუგალია)
გ. როდრიგესი (სან ლორენსო, არგენტინა)
ექტორ ფონტი (სიუდად მურსია)

**წავიდნენ**

არანდა (ალბასეტე)
ბელეტი (ბარსელონა)
კოლოჩინი (?)
ტენა (ფეროლი)
პედრო მარტი (ელჩე)

## ბეტისი

**მოვიდნენ**

კასასი (ხერესი)
დობლასი (ხერესი)
რ. ოლივეირა (ვალენსია)
პ. ნინიო (პოლი ეხიდო)
პ. კასტელინი (ტორინო, იტალია)

**წავიდნენ**

მინგო (ალბასეტე)
კალადუ (პოლი ეხიდო)
ჟოაუ ტომასი (ბრაგა, პორტუგალია)
იტო (ესპანიოლი)
პალერმო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
გუდიონსონი (პოლი ეხიდო)

## მალაგა

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

როხასი (?)
სალვა (ვალენსია)
კანაბალი (პონტევედრა)
დიეგო ალონსო (პონტევედრა)
ინსუა (პონტევედრა)
ხოსემი (ლივერპული, ინგლისი)

## მალიორკა

**მოვიდნენ**

არანგო (პუებლა, მექსიკა)
პ. მიულერი (ლიონი, საფრანგეთი)
მარიო (ბარსელონა)
სიფუენტესი (სიუდად მურსია)
მარკოს ვალესი (სევილია)
კომე (ნუმანსია)

**წავიდნენ**

ტონი გონსალესი (სიუდად მურსია)
ტუნი (სალამანკა)
ლეო ფრანკო (ატლეტიკო)
კოლსა (ატლეტიკო)
კორეა (ატლეტიკო)
ი. სტანკოვიჩი (პარტიზანი, სერბეთი)
მიკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვისენტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუსენჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ედუ მოია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნენე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფინიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## სარაგოსა

**მოვიდნენ**

ლუის გარსია (ნუმანსია)
ხავი მორენო (ატლეტიკო)
ოსკარი (ვალიადოლიდი)
არანსაბალი (სოსიედადი)
დრულიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ხუანხო კამაჩო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**წავიდნენ**

ველისკა (ალმერია)
იბან ესპადასი (ალმერია)
ბილიჩი (კორდობა)
ვალბუენა (ალბასეტე)
იორდი (ხეტაფე)
ხესუსი (დეპორტივო)
რებოსიო (ტერასა)
პაბლო (ტერასა)
ხუანელე (ტერასა)
ფერონი (ალბასეტე)
დანი (ესპანიოლი)
ვივარ დორადო (ლეიდა)
კორონა (ვალიადოლიდი)
ინიაკი (ვალიადოლიდი)

## ოსასუნა

**მოვიდნენ**

მილოშევიჩი (პარმა)
დელპორტე (ალბასეტე)
ორტისი (ატლეტიკო)
კლავერო (მურსია)
ხოსუე (მურსია)
კორალესი (რეალი)

**წავიდნენ**

ბრიტი (სალამანკა)
პალასიოსი (ნუმანსია)
დიეგო მატეო (ვალიადოლიდი)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)
გორკა გარსია (კორდობა)
რივერო (ხერესი)

## ალბასეტე

**მოვიდნენ**

მინგო (ბეტისი)
ვალბუენა (სარაგოსა)
გასპერჩიჩი (ალავესი)
მარკ გონსალესი (უნ. კათოლიკა, ჩილე)
ფრანსისკო (ალმერია)
ფერონი (სარაგოსა)
ლუისმი (ესპანიოლი)

**წავიდნენ**

პედრო ერნანდესი (სიუდად მურსია)
პაბლო (ატლეტიკო)
დელპორტე (ოსასუნა)
პარი (ვალენსია)
დავიდ სანჩესი (ბარსელონა)
ფერნანდო ნავარო (ბარსელონა)
არანდა (სევილია)
ალმუნია (არსენალი, ინგლისი)
ბასტი (ხერესი)
პედრო (?)
სიმეონი (?)
როა (?)
უნაი (?)
მოსო (?)
ფაბიანო (?)

## რასინგი

**მოვიდნენ**

სიეტესი (ალავესი)
მარკეში (რაიო ვალეკანო)
ბორგესი (მირამარი, მექსიკა)
რეგრაგი (აიაჩო, საფრანგეთი)
ბახარი (ალავესი)
აგანსო (რეალი)
ნანი ლიმა (მონტევიდეო, ურუგვაი)

**წავიდნენ**

ბოდიპო (ალავესი)
კორომინა (ალავესი)
ეპიტიე (ალავესი)

## სოსიედადი

**მოვიდნენ**

ბრეშე (ინტერი, იტალია)
ბარკერო (პოლი ეხიდო)
ლაბაკა (სიუდად მურსია)
მიკელ ალონსო (ნუმანსია)
გარი ურანგა (ხეტაფე)
არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)

**წავიდნენ**

პაკო ლორენტე (ეიბარი)
დე პედრო (ბლექბერნი, ინგლისი)
არანსაბალი (სარაგოსა)
პოტილიონი (პსჟ, საფრანგეთი)
კვარმე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გურუჩაგა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ესპანიოლი

**მოვიდნენ**

დომი (პსჟ, საფრანგეთი)
იტო (ბეტისი)
იბარა (მონაკო, საფრანგეთი)
დანი (სარაგოსა)
პოჩეტინიო (ბორდო, საფრანგეთი)
კამენი (ლე ავრი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**

ხორდი კრუიფი (?)
ტორიჩელი (?)
ვინიალი (ლივერპული, ინგლისი)
ბობსონი (?)
რადუჩანუ (არმინია, გერმანია)
ლუისმი (ალბასეტე)
ტონი ხიმენესი (?)

## ლევანტე

**მოვიდნენ**

დ. კამაჩო (უელვა)
ხუანმა (მალაგა B)
ჰარტი (ლიდსი, ინგლისი)
მიალბი (სელტიკი, შოტლანდია)
ნაჩო (მალაგა B)
კულებრასი (ნუმანსია)
სერხიო გარსია (ბარსელონა)

**წავიდნენ**

ლეკუმბერი (ალავესი)
ოლიასი (ალავესი)
კარპინტერო (ალავესი)

## ნუმანსია

**მოვიდნენ**

როსი (ბარსელონა)
ტოჩე (ატლეტიკო)
ტევენეტი (?)
ხუანმა (ატლეტიკო)
ხუანპა (სალამანკა)
პაბლო სანსი (რაიო ვალეკანო)
პალასიოსი (ოსასუნა)
პინოლი (ალმერია)
ხუანლუ (ერკულესი)
ხოსე ხუანი (სელტა B)
ოჩოა (ალავესი)

**წავიდნენ**

ხუან მორენო (ალმერია)
კომე (მალიორკა)
პულიდო (მურსია)
ლუის გარსია (სარაგოსა)
როსუ (უელვა)
მიკელ ალონსო (სოსიედადი)
ტორილი (?)
ფაგიანი (?)
კასადო (?)
რიანიო (?)
ხისკო (ვილიარეალი)
ნადალი (ვილიარეალი)
კულებრასი (ლევანტე)

## ხეტაფე

**მოვიდნენ**

ფ. გალიარდო (სევილია)
იორდი (სარაგოსა)
პერნია (უელვა)
მარიო (?)
ბორხა (?)
სერხიო სანჩესი (?)
ამაია (ატლეტიკო)
სანჩეს ბროტო (მურსია)
ნიკოლაიდისი (ატლეტიკო)
ლეკი (ატლეტიკო)
მარტინ ვიტალი (ლეგანესი)

**წავიდნენ**

ბერნო (ელჩე)
პაჩონი (ვალიადოლიდი)
გარი ურანგა (სოსიედადი)
კალეხა (?)
ა. კასტრო (?)
ნაჩო (?)
რუბენ რეიესი (?)

სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

# ათენის ოლიმპიადა 2004

### ფეხბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | კოსტარიკა | 30,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | პორტუგალია | 6,5 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 8,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | პარაგვაი | 9,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | სერბეთი | 15,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | მექსიკა | 15,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | იაპონია | 24,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | მაროკო | 30,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | იტალია | 5,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | ავსტრალია | 65,0 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | არგენტინა | 3,75 |
| 1 | 19:0 | ჩემპიონი | კორეა | 30,0 |

### ჯგუფი ა. პირველი ადგილი.
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | 19:0 | პირველი ადგილი | საბერძნეთი | 2,25 |
| 2 | 19:0 | პირველი ადგილი | მექსიკა | 2,95 |
| 2 | 19:0 | პირველი ადგილი | სამხ. კორეა | 6,3 |
| 2 | 19:0 | პირველი ადგილი | მალი | 4,8 |

### ჯგუფი ბ. პირველი ადგილი.
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | 19:0 | პირველი ადგილი | იტალია | 1,85 |
| 3 | 19:0 | პირველი ადგილი | პარაგვაი | 2,9 |
| 3 | 19:0 | პირველი ადგილი | განა | 5,7 |
| 3 | 19:0 | პირველი ადგილი | იაპონია | 9,0 |

### ჯგუფი ც. პირველი ადგილი.
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | 19:0 | პირველი ადგილი | არგენტინა | 1,35 |
| 4 | 19:0 | პირველი ადგილი | ავსტრალია | 11,5 |
| 4 | 19:0 | პირველი ადგილი | სერბეთი | 5,4 |
| 4 | 19:0 | პირველი ადგილი | ტუნისი | 5,2 |

### ჯგუფი დ. პირველი ადგილი.
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | 19:0 | პირველი ადგილი | ირაკი | 21,0 |
| 5 | 19:0 | პირველი ადგილი | როსტარიკა | 6,5 |
| 5 | 19:0 | პირველი ადგილი | მაროკო | 3,6 |
| 5 | 19:0 | პირველი ადგილი | პორტუგალია | 1,45 |

### კალათბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | ავსტრალია | 85,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | არგენტინა | 7,7 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | ჩინეთი | 85,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | ლიტვა | 6,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | აშშ | 1,35 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | იტალია | 20,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 13,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | სერბეთი | 11,0 |
| 6 | 19:0 | ჩემპიონი | ესპანეთი | 13,0 |

### ჯგუფი ა. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | ესპანეთი | 2,9 |
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | იტალია | 5,0 |
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | არგენტინა | 2,4 |
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | ჩინეთი | 27,0 |
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | ახალი | 35,0 |
| 7 | 19:0 | პირველი ადგილი | სერბეთი | 2,7 |

### ჯგუფი ბ. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | პუერტო | 17,0 |
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | ლიტვა | 4,6 |
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | აშშ | 1,15 |
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | საბერძნეთი | 5,9 |
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | ავსტრალია | 35,0 |
| 8 | 19:0 | პირველი ადგილი | ანგოლა | 105,0 |

### ხელბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | გერმანია | 3,75 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | ხორვატია | 6,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | ესპანეთი | 8,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | უნგრეთი | 12,5 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | სლოვენია | 14,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | ეგვიპტე | 45,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 81,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | საფრანგეთი | 3,45 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | რუსეთი | 3,65 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | ბრაზილია | 500,0 |
| 9 | 19:0 | ჩემპიონი | კორეა | 251,0 |

### ხელბურთი. ქალები. ჩემპიონი
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | ბრაზილია | 79,0 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | საფრანგეთი | 3,5 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | ჩინეთი | 81,0 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | ესპანეთი | 21,0 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | უკრაინა | 14,0 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | დანია | 5,3 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | კორეა | 3,0 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | უნგრეთი | 3,2 |
| 10 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 101,0 |

### წყალბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | სერბეთი | 3,8 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | გერმანია | 35,0 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | რუსეთი | 30,0 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | უნგრეთი | 2,7 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 5,5 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | ესპანეთი | 14,0 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | აშშ | 14,0 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | ავსტრალია | 30,0 |
| 11 | 19:0 | ჩემპიონი | ხორვატია | 7,0 |

### ფრენბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | აშშ | 14,0 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | იტალია | 5,1 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | სერბეთი | 5,1 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | რუსეთი | 6,5 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | საფრანგეთი | 10,5 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | საბერძნეთი | 26,0 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | ჰოლანდია | 14,0 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | პოლონეთი | 41,0 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | არგენტინა | 65,0 |
| 12 | 19:0 | ჩემპიონი | ბრაზილია | 2,1 |

### ფრენბურთი. ქალები. ჩემპიონი
14.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | იაპონია | 70,0 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | ბრაზილია | 2,3 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | ჩინეთი | 3,1 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | კუბა | 4,3 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | იტალია | 8,5 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | აშშ | 10,0 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | გერმანია | 35,0 |
| 13 | 19:0 | ჩემპიონი | რუსეთი | 45,0 |

### ჩოგბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ნოაკი | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ჰაასი | 40,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ფედერერი | 2,1 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | როდიკი | 3,2 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ჰიუიტი | 11,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ა. აგასი | 19,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | რუზეცკი | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | მოია | 25,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | კორეა | 25,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ჰენმანი | 25,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ფერერო | 40,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | მირნი | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | გროჟანი | 40,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | მალისე | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | კუერტენი | 51,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | კიფერი | 51,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ფიში | 65,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | იოჰანსონი | 81,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | რობრედო | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ჰრბატი | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | საფინი | 25,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ნალბანდიანი | 25,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ფილიპუსისი | 151,0 |
| 14 | 19:0 | ჩემპიონი | ანჩიჩი | 40,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## ინგლისი. ჩემპიონატი. II ტური

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 101 | ბრაიტონი-პლიმუთი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 22.45 | 102 | კარდიფი-ქოვენთრი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 22.45 | 103 | ჯილინგემი-ლიდსი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 22.45 | 104 | მილუოლი-უიგანი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 22.45 | 105 | შეფილდი-სტოკი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.45 | 106 | როტერჰემი-ბარნლი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 107 | სანდერლენდი-ქრიუ | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.00 | 108 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |

**11 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 109 | ვულვერჰემპტონი-პრესტონი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 22.45 | 110 | დერბი-ლესტერი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 22.45 | 111 | ნოტინგემი-იფსვიჩი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

## ინგლისი. I ლიგა. II ტური

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 130 | ბარნსლი-ბრისტოლი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 22.45 | 131 | ბლეკპული-უენსდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 22.45 | 132 | ბორნმუთი-უოლსოლი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 22.45 | 133 | ბრედფორდი-პიტერბრო | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 22.45 | 134 | ბრენტფორდი-დონკასტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.45 | 135 | კოლჩესტერი-სტოკპორტი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 22.45 | 136 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.45 | 137 | ოლდემი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 22.45 | 138 | ტორკი-ჰალი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 22.45 | 139 | ტრანმერი-ჰარტლპული | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 22.45 | 140 | პორტ ვეილი-დონსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |

**11 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 141 | სუინდონი-ლუტონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

## ინგლისი. II ლიგა. II ტური

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 160 | როვერსი-ბერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.45 | 161 | კემბრიჯი-ლეიტონი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 22.45 | 162 | ჩელტენემი-სკანთორპი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 22.45 | 163 | ჩესტერი-უიკომბი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 22.45 | 164 | გრიმსბი-ბოსტონი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 22.45 | 165 | კიდერმინსტერი-ნოტსი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 22.45 | 166 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 22.45 | 167 | ნორთჰემპტონი-რაშდენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 22.45 | 168 | როჩდეილი-სუონსი | 2,35 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,21 | 1,4 |
| 22.45 | 169 | იოვილი-დარლინგტონი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.45 | 170 | ლინკოლნი-საუთენდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,21 | 1,21 | 2,5 |

**11 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 171 | ოქსფორდი-მენსფილდი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

## შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 654 | ბრეჩინი-კოუდენბითი | 1,45 | 4,0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 22.30 | 655 | დამბარტონი-როსი | 3,0 | 3,5 | 2,0 | 1,61 | 1,2 | 1,27 |
| 22.30 | 656 | მორტონი-გრეტნა | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 22.30 | 657 | პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 22.30 | 658 | ქუინი-ალბიონი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 22.30 | 659 | სტ.მირენი-ფორფარი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 22.30 | 660 | სტენჰაუზმური-არბროთი | 2,7 | 3,5 | 2,15 | 1,52 | 1,19 | 1,33 |
| 22.30 | 661 | სტრანრარი-რეითი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 22.30 | 662 | ერდრი-ისტ ფაიფი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 22.45 | 663 | ბერიკი-ელგინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 22.45 | 664 | სტ.ჯონსტონი-ალოა | 1,3 | 4,4 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,77 |
| 22.45 | 665 | ფოლკირკი-მონტროუზი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 22.45 | 666 | ჰამილტონი-ეარი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |

**11 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 667 | სტირლინგი-ქუინზ პარკი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |

## ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I მატჩები

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 725 | ცსკა-რეინჯერსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 726 | დინამო(კ)-ტრაბზონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 727 | პაოკ-მაკაბი(თ-ა) | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.45 | 728 | გრაცერი-ლივერპული | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 23.00 | 729 | იუვენტუსი-იურგორდენი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 23.00 | 730 | ბენფიკა-ანდერლეხტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

**11 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 731 | შახტარი-ბრიუგე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 732 | ფერენცვაროში-სპორტინგი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.15 | 733 | გორიცა-მონაკო | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1.18 |
| 22.30 | 734 | ლევერკუზენი-ბანიკი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.30 | 735 | ცრვენა ზვეზდა-პსვ | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.45 | 736 | რუსენბორგი-მაკაბი(ჰ) | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.45 | 737 | დინამო(ბქ)-მანჩესტერი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 22.45 | 738 | ბაზელი-ინტერი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 22.45 | 739 | შელბურნი-დეპორტივო | 8,0 | 4,8 | 1,3 | 3 | 1,11 | 1,02 |
| 22.45 | 740 | ვისლა-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |

## ინტერტოტოს თასი. ფინალი. I მატჩები

**10 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 744 | ლილი-ლეირია | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.15 | 745 | შალკე-ლიბერეცი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 24.00 | 746 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მეოთხე მეტოქე ეიფორია იქნება

## დრაჟენ ბრაიკოვიჩი: ევროპელები აქეთ დაგვეძებენ

*იტალიურ სან ჯორჯოში მოპოვებულმა ორმა გამარჯვებამ ფურცელზე დაწერილი რეალურად დაგვანახა — საქართველოს ნაკრები ჰყავს! სამწლიანი უქმობის შემდეგ ეროვნულმა გუნდმა ერთი ხელის მოსმით დაამარცხა ევროგოლიათი რუსეთი და ჩვენზე სახელიანი შვედეთი. მოკლედ, სან ჯორჯოში საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მეორედ დაიბადა...*

*ამ იმედისმომცემი მატჩების შემდეგ ნაკრების ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი სამშობლოში გაემგზავრა. მანამდე კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა ბრაიკოვიჩს 2007 წლის ზაფხულამდე გახანგრძლივებული კონტრაქტი გაუმზადეს,რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერაციამ ევრო 2007-ის ფინალურ ეტაპზე გასვლა ამოიჭრა გულში და ამას ხორვატის ხელით აპირებს. ბრაიკოვიჩი თბილისში გუშინწინ ჩამოვიდა, ხოლო გუშინ თბილისის „დინამო" წინასასეზონოდ შეკრიბა. თუმც მწვრთნელი საკლუბო თემაზე არ გვესაუბრა, პირველი შეკრებაა და ახალს ვერაფერს გეტყვითო. იტალიურ ტურნირზე კი, იცოცხლეთ...*

— თითქმის არავის ეგონა, რომ სამიდან ორ შეხვედრას მოვიგებდით. ორად-ორი ვარჯიში ჩავატარეთ, როდესაც იტალია საოლიმპიადოდ ემზადებოდა და ფორმის პიკში იმყოფებოდა. აბიო, გალანდა და სხვები თვალდახუჭული უგებენ ერთმანეთს, უკვე 5 წელია, დაახლოებით ერთი ბირთვი ჰყავთ და ხომ ნახეთ, დანკანი, აივერსონი და კომპანია რა დღეში ჩააგდეს. იტალიურ გამარჯვებებს მოთამაშეებს ვუმადლი.

— შემონდ უილიამსის კლასი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ რამდენად მალე ჩაჯდა იგი ნაკრებში, ანუ ზედმეტად ინდივიდუალურად ხომ არ თამაშობდა?

— პირიქით, იგი გუნდური მოთამაშის ნიმუშია.

— თბილისში ჩამოსულმა ნაკრების წევრებმა უილიამსი, როგორც პიროვნება, ძალიან შეაქეს...

— შემონდი ცხრა წელია, ნბა-ში თამაშობს, მაგრამ ამას ერთი წუთით არ გაგრძნობინებს. მართლაც იშვიათი ბუნების ადამიანია და მიხარია, რომ მისი სახით არა მხოლოდ ტოპ-კლასის კალათბურთელი, არამედ კარგი პიროვნებაც შევიძინეთ.

— ქართველმა გულშემატკივარმა მხოლოდ ერთ, საქართველო — იტალიის მატჩს უყურა, სადაც საწყის ორ მეოთხედში ძირითადი ხუთეული ფაქტობრივად შეუცვლელად ათამაშეთ. ამით ის მიანიშნეთ, რომ ნაკრებს მოკლე სკამი აქვს?

— არა, როგორც მწვრთნელს, მინდოდა, საქმეში დიდხანს მენახა ის ბირთვი, რომელიც იმ მომენტში საუკეთესო იყო. ანუ ეს იყო შემოწმება ფიზიკურ მომზადებაზე და მანამდე თუ არ ვიცოდი, ახლა უკვე ვიცი, ვინც უნდა ითამაშოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— გიორგი ცინცაძემ შვედებთან 25 ქულა დააგროვა. შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ მას ორ ნომერზე ძირითადში დააყენებთ?

— ცინცაძე პირველ-მეორე ნომრის მოთამაშეა. შვედებთან მატჩში მან კიდევ ერთხელ დამაჯერა თავის პოტენციალში, მაგრამ ძირითად ხუთეულში თამაშზე ჯერ რა გითხრათ...

— იტალიაში წასვლამდე ელოდით შვედებთან და რუსებთან მოგებას?

— ამაზე არ ვფიქრობდი, უბრალოდ, ბიჭებში დარწმუნებული ვიყავი. რეალურად კი ორად-ორჯერ ნავარჯიშები ნაკრების მიერ რუსების 16 ქულით დამარცხებას ნამდვილად არ ველოდი.

— თქვენ მეორე ხორვატი ხართ, რომლის თავკაცობით სადებიუტო მატჩში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა. მოგეხსენებათ, საქართველო-რუსეთის დაპირისპირება ხშირად სპორტულ ჩარჩოებს სცილდება. თუ გქონდათ გაცნობიერებული ამ მატჩის მნიშვნელობა და თამაშის წინ გასახდელში როგორ წააქეზეთ ბიჭები?

— პოლიტიკაზე გადასვლა არ მინდა, მაგრამ თამაშის დროს ბიჭებს განსაკუთრებული შემართება ეტყობოდათ. როდესაც ლამაზ შეტევას ვაგვირგვინებდით ან ზაზა ფაჩულია ჩატენიდა ხოლმე, ჩვენი სათადარიგო სკამი სასწაული ოვაციებისგან ინგრეოდა და ყურთასმენა მიჰქონდა. არა, ნაღდად სხვა მატჩი იყო...

— რუსეთთან ქართველების „დაქოქვა" საძნელო საქმე არ არის. შემონდ უილიამსი როგორღა დარაზმეთ?

— ბიჭებმა მას აუხსნეს თამაშის მნიშვნელობა და უნდა გენახათ, როგორ ომობდა. როდესაც შემონდი სან ჯორჯოში ჩამოვიდა, უკვე „ქართველი" იყო და 200 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც ასე იქნება.

— სხვათა შორის, რუსებმა ქართველებთან წაგება დამალეს. მხოლოდ ერთ ვებგვერდზე იყო წვრილი ინფორმაცია, სადაც მათი მწვრთნელი გაკვირვებას გამოთქვამდა უილიამსის გაქართველებით, წაგებასაც კირილენკოსა და კიდევ ზოგიერთი ლიდერის არყოფნას აბრალებდა...

— ეს მათი საქმეა, მაგრამ რეალურად მათ მხოლოდ ორი კალათბურთელი — კირილენკო და ჰოლდენი აკლდათ. იმათზე ძლიერები ნაღდად არავინ ჰყავთ, ვინაც იტალიაში ვნახეთ. ამ დროს ჩვენ ცქიტიშვილი, სტეფანია და ნაცვლიშვილი გვაკლდა, მარკოიშვილმა ტრავმა კი მიიღო...

— თქვენს სამშობლოში როგორ შეხვდნენ რუსეთთან მოგებას?

— ხორვატიას ევრო 2005-ის შესარჩევში რუსეთი და შვედეთი ჰყავს ჯგუფში და, ცხადია, კონსულტაციები გავუწიე თანამემამულეებს. სხვათა შორის, მე მხოლოდ მესამე ხორვატი მწვრთნელი ვარ, რომელმაც რუსეთს მოუგო. ადრე ეს მირკო ნოვოსელსა და პეტერ სკანსს გაუკეთებიათ.

— ჩვენებს იტალიაშიც არ მოაკლებდნენ კომპლიმენტებს...

— იტალიის კალათბურთის ფედერაციის შეფმა დინო მენეგინიმ მადლობა გადაგვიხადა, თქვენი გუნდი სხვანაირ, ესთეტიურ კალათბურთს თამაშობსო. მენეგინი თავის დროზე დიდებული მოთამაშე იყო და იტალიური კალათბურთის ცოცხალ ლეგენდად ითვლება. მათმა მწვრთნელმა ისიც თქვა, ზაზა ფაჩულიას დარი არ გვყავსო. გეცოდინებათ, იტალიელებმა გასად ზაფხულისთვის ორ ტურნირზე დაგვპატიჟეს და კიდევ, არაფერი მითქვამს ვლადიმერ ბოისაზე, რომელმაც რუსებს 30 ქულა ჩაუგდო და სასწაული ენერგიით ითამაშა.

— ზემოთ შემადგენლობის ვარირებაზე ვთქვით და გამოდის, რომ ნაკრებს სკამის პრობლემა არ ექნება? თუნდაც იგივე, უილიამსსაც ხომ სჭირდება დასვენება...

— უილიამსს შეუძლია ზედიზედ ორი მატჩი ითამაშოს შეუცვლელად. ეს ხუმრობით. ისე კი, რეზერვის პრობლემას ვერ ვხედავ, 10 მაღალი კლასის მოთამაშე გვყავს, რაც აბსოლუტურად საკმარისია. აი, შვედეთთან ჩინებულად ითამაშა შიო ხეცურიანმა...

— ისე, მაქსიმალისტ კაცს იტალიელებთან მოგებაც უნდა მოეწადინებინა. სულ პატარა შანსიც არ გქონდათ?

— რუსეთთან ფიზიკურად და ემოციურად დავიხარჯეთ. სამ დღეში სამი მატჩი რომ ჩაატარო, ლომივით უნდა იყო მომზადებული.

— 1 სექტემბერს ნაკრები იკრიბება და ყველა ლეგიონერი ჩამოდის, ხოლო 11-ში პირველი მატჩი გვაქვს ფინეთთან. ეს სამი ამხანაგური შეხვედრა ხომ არ გეცოტავებათ?

— მგონი, საკმარისი იყო. გარდა ამისა, 5-6 სექტემბერს, შესაძლოა, კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ვითამაშოთ. არა, ეს უცხოური კლუბი ან ნაკრები არ იქნება, უფრო ქართულ კლუბს შევხვდებით. გაგეცინებათ და ყველაზე მეტად ლუქსემბურგთდან თამაშს ვუფრთხი. რატომ? ფინეთთან შინ და მაკედონიასთან გასვლაზე თუ მოვიგეთ, ბიჭები არხეინად გავლენ ლუქსემბურგთან, რაც შესაძლოა, მწარედ შემოგვიბრუნდეს.



— თითქოს მაკედონიაზე უფრო კეთდება აქცენტი, მაგრამ ფინელებმა ბალტიის ზღვის თასი მოიგეს...

— აქცენტი რას ჰქვია, ფინელებს მოტოლას გარდა კიდევ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე ჰყავთ და უძლიერესი მწვრთნელი — დეტმანი უდგათ სათავეში. მძიმე მატჩებს ველოდები და ამიტომაც მინდა, ეიფორიაში არ ჩავვარდეთ.

*დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ფედერაციას დიდი მადლობა გადაუხადა, ეს ხალხი დღე-ღამეში 12-15 საათს მუშაობს ქართული კალათბურთის აღორძინებლად და მათი დამსახურებაა, რომ ევროპაში ჩვენი იმიჯი 180 გრადუსით შემობრუნდა, ადრე თუ არავინ გვიცნობდა, ახლა ტესტ-მატჩებისთვის სათამაშოთ დაგვეძებენო.*

*ბრაიკოვიჩი ახალ კონტრაქტს, ალბათ, რამდენიმე დღეში მოაწერს ხელს. თარიღი არ უთქვამს, მაგრამ ის კი დასძინა, ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს ნაკრების თავკაცობაო. დასასრულს ხორვატმა მწვრთნელმა დაამატა, ნეტავ, 11 სექტემბერს ბევრი გულშემატკივარი მოვიდესო. აი, ამას კი ნატვრა აღარ ესაჭიროება...*

**ილია ნანოგაშვილი**



REUTERS

ლამარ ოდომმა და ტიმ დანკანმა თურქი ქერემ გონლუმი გასრისეს

# ამერიკამ თურქეთიც აღმოაჩინა

**ოლიმპიადის** დაწყებამდე ერთი-ორი დღე კიდევ რჩება და ამერიკის არცთუ იდეალური ნაკრები საკუთარ თავს ბოლო სპარინგ-მატჩებში ეძებს. „დრიმ თიმ რომელიღაცამ" გუშინ სტამბოლში თურქეთის ასევე არცთუ სრული ნაკრები 79:67 დაამარცხა. ვერ ვიტყვით, გაუჭირდათო, მაგრამ ამერიკელები ვერც თურქებთან ჩანდნენ ბურთისა და მოედნის სრულ ბატონ-პატრონებად. ათენშიც მთავარ ფავორიტებად მიდიან, თუმც მათი მარცხი არაერთხელ გვინახავს და ვის გაუკვირდება, ახლაც ოქროს ან სულაც, მედლის გარეშე რომ დარჩნენ, ისევე როგორც 2002 წლის ინდიანაპოლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

თურქებს ორი ლიდერი — სანანტონიოელი ჰიდაიეთ თურქოღლუ და ყოფილი ნბა-ელი მირსად თურქჯანი აკლდათ, თუმც მთელი მატჩი ზურგში მიჰყვებოდნენ სტუმრებს და ბოლო მეოთხედამდე არ მისცეს მოსვენების უფლება. იბრაჰიმ ქუთლუაიმ (19 ქულა) და სერქან ერდოგანმა (17) 5-5 სამქულიანი უმარჯვეს ამერიკელთა კალათს, ხოლო წლეულს „დეტროიტში" გაჩემპიონებულმა ცენტრმა მეჰმედ ოქურმა 14 ქულასთან ერთად 9 მოხსნაც მოუხვეჭა თურქებს.

ამერიკელები 16 ქულით ასარგებლა კაპიტანმა ტიმ დანკანმა, თანაკაპიტანმა ალენ აივერსონმა კი 13 გააკეთა.

10 ათასი ქომაგის ნამდვილი თურქული მღელვარებით გამხნევებული მასპინძლები ბოლო მეოთხედში აფეთქდნენ. ქუთლუაიმ და ერდოგანმა რამდენიმე სამიანი გაშანსეს და ერთი მონაკვეთის 19:8 მოგების შემდეგ თურქებმა 14-ქულიანი სხვაობა ერთი სამქულიანის სროლამდე შეამცირეს — 65:68. აქ კი იკადრეს დაცვაში ჩამწკრივება ნბა-ელებმა, დარჩენილი სამი წუთი 11:2 მოიგეს და მორიგ შერცხვენას გადაურჩნენ.

„ჩვენ საჭირო გამოცდილებას ვიძენთ — ამბობს ოქროზე მეოცნებე „ოცნების გუნდის" თავკაცი ლარი ბრაუნი — ასეთი თამაშები დიდად გვრგებს, რადგან ათენში არანაკლებ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს შებმა."

თურქეთი და ამერიკა დღეს საღამოს მეორედაც შეეტოქებიან ერთმანეთს, ხოლო ზეგ „დრიმ თიმი" ათენში მიფრინავს.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცინცინატი დიდია, შიგ აგასი ჰკიდია



REUTERS ცინცინატიდან

ანდრე აგასი: მე დავბრუნდი!

ცინცინატი. ჰარდი
საპრიზო 2,45 მილიონი €

**ფინალი**

**ანდრე აგასი (11, აშშ) — ლეიტონ ჰიუიტი (10, ავსტრალია) 6:3, 3:6, 6:2**

საქმეში ჩახედული მკითხველი თუ ბრძანდებით, დასტურ შეამჩნევდით, ეპითეტ „დიადს" მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ მეჩოგნეთა მისამართით რომ გამოვიყენებთ ხოლმე. ერთი ამ თითზე ჩამოსათვლელთაგანი გახლავთ 34 წლის არმენოამერიკელი ჯადოკაცი ანდრე აგასიც, ვინაც მთელი გასული კვირა ისე სტაბილურად, მახვილკუთხოვნად და თანაც ზღაპრული სისადავით ჩაითამაშა, რომ თავისი გამარჯვების სამართლიანობაში თვით ყველაზე არაკეთილგანწყობილი მაცქერალიც არ დაუეჭვებია.

არადა, ანდრეს წლეულს ერთი ქეციანი ტიტულიც არ მოენაგრა, ავსტრალიის ღია პირველობისა და ინდიანუელსობის ნახევარფინალებში დამარცხებულს მოგვიანებით ბარძაყის ტრავმა შეუჩნდა და აქეთ რომ კარიერის მერვაასე გამარჯვების მოხვეჭა თითქმის სამ თვეზე გაუჭიმა, იქით უიმბლდონობაც გამოატოვებინა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თითქოს ისეთი უსასოო ჩანდა, ბევრი მის მიერ ჩოგნის ჩამოკიდებაზეც აჭორიკანდა.

თუმცა ანდრე არსად წასვლას რომ აპირებს და, რაც მთავარია, დასარჩენი ილაჯი ჯერაც ბლომად რომ მოეძევება, ვინძლო, მისი ცინცინატური ჩოგნობის ერთხელ მნახველმა მკითხველმაც დაგვიდასტუროს. ასეთი მტკიცე, თავდაჯერებული და მატჩის თავიდან ბოლომდე განმკარგველი ანდრე აგასი მათ ალბათ კარგა ხანი იქნებოდა, არ ენახათ.

თავადაც საუცხოო ფორმაში მყოფმა ლეიტონ ჰიუიტმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს შესამჩნევად გააძლიერა მოწოდება და ახლა ხშირად ეისობს კიდეც, ვერაფერი გააწყო პიტალო კლდესავით მდგარი გოროზი ვეტერნის წინააღმდეგ. გადამწყვეტ მომენტებში ანდრე უფრო რისკიანი, უფრო ბასრი, უფრო ჩუბინი იყო და მატჩის ბედიც სწორედ ამ გარემოებამ გადაწყვიტა.

ამ ტურნირზე ვაჩვენე, რომ თუ ჩემი თამაში შევუბერე, ბიჭებს ძალიან ბევრ პრობლემებს ვუქმნიო, ამბობდა ნაფინალევს შტეფი გრაფის მეუღლე. ბიჭებში ის უწინარესად ზეპური ამქრის ტიტულოსნებს — შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს, იმავ ლეიტონსა და კარლოს მოიას გულისხმობდა. ბოლოს კი იმას დასძენდა, ერთადერთი ახლა იმას ვნანობ, აშშ-ის ღია პირველობა ამ კვირაშივე რომ არ იწყებაო.

სხვაფრივ: ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე აგასი გახდა მესამე მეჩოგნე, ცინცინატიში მესამედ რომ იმარჯვა. ადრე მას იქ 1995-96 წლებში გაულაღია. წინა ორნი კი მატს ვილანდერი (1983-84, 86, 88) და პიტ სამპრასი (1992, 97, 99) იყვნენ.

ეს იყო ანდრეს (პირველი ტიტული 2003 ჰიუსტონობის ანუ აპრილის შემდეგ) და საერთოდ კი 59-ე საკარიერო ჯილდო. ამ მაჩვენებლით მას მოქმედ მეჩოგნეთაგან ვერავინ შეედრება. ამათ შორის ყველაზე მეტი, 21 ტიტული ისევ ლეიტონ ჰიუიტს დაეკვეხება.

საკუთრივ მასტერსსერიის ამბავში კი ანდრემ უკვე მე-17 ტიტული მიითვალა.

ნაამტურნირევს მას 808 საკარიერო მოგება დაუგროვდა და ღია პირველობათა ეპოქაში ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩამოსიავებულ მოთამაშეთა შორის მეხუთე საფეხურზე დგას.

სათქმელია ისიც, რომ ფინალის დღეს ის ზუსტად 34 წლის, სამი თვისა და 10 დღის იყო. ასეთ ხნიერ კაცს კი რაგინდარა ტურნირი 1989 წლის ტულუზობისა და თელავივობების შემდეგ აღარ დაუწიოკებია. ხსენებული ტურნირები, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ლეგენდარულმა ჯიმი კონორსმა ააოხრა, რომელიც მაშინ 37 წლისა და ერთი თვის გახლდათ.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც 30 წლისა შეიქნა, აგასიმ უკვე 14 ტურნირი მოიგო. ღია პირველობათა ერაში მასზე მეტი ტურნირი ოცდაათს გადაცილებულთაგან როდ ლეივერს (44), კენ როზუოლს (29), არტურ ეშსა (20) და იმავ კონორსს (15) მოუგიათ.

ამ ტიტულმა მას 400 ათასი დოლარი და 100 საჩემპიონთარბოლო ქულა არგუნა. შედეგად — რბოლაში ანდრემ მე-18 ადგილიდან მეცხრეზე აინაცვლა, განთესვის რეიტინგსიაში კი — მეთერთმეტედან მეშვიდეზე.

ჰიუიტს ყველაფერი აგასიზე ორჯერ ნაკლები ხვდა წილად და, შესაბამისად, უფრო ნაკლებ შთამბეჭდავად წაიწია წინ — რბოლაში მეექვსიდან მეხუთემდე, განთესვის ნუსხაში მეათიდან მერვემდე.

ROGERS CUP
მონრეალი. მაგარსაფარი.
საპრიზო 1,3 მილიონი $

**ფინალი**

**ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:0**



REUTERS მონრეალიდან

ამელი მორესმო: ესეც მეცამეტე!

წლის მესამე, ხოლო კარიერის მეცამეტე ტიტულის მისათვლელად ამელი მორესმოს იმ დღეს ძალიან იოლი, სულ რაღაც 51-წუთიანი ფინალის ჩათამაშება მოუხდა. 28 წლის რუსმა ელენა ლიხოვცევამ, ვინაც გადამწყვეტი მატჩისკენ მიმავალ გზაზე ზედმიწევნით აჯობა მერვე ნომრად განთესილ თვისტომ ნადია პეტროვას, მეხუთედ ნომრად განთესილ ჯენიფერ კაპრიატისა და ნახევარფინალში უდაძაბულესი სამი სეტის შედეგად ჩამოიცილა მესამე ნომრად განთესილი თვისტომი ანასტასია მისკინა, ჯანიან ფრანგთან საჭიდაოდ საჭირო ჰოვსილა ვეღარ მოიძია და საშინლად გაპარტახდა. ამ გამარჯვებამ ამელის, ვისაც იქ 2002 წელსაც უპირველია, 192 ათას დოლართან ერთად იმდენი ქულაც არგუნა, რომ საამკვირაო რეიტინგსიაში ცხოვრებაში უმაღლეს, მეორე საფეხურზე შედგომაც შეძლო.

**ლევან ძელაურაძე**



# ბატონს საქმეს ურჩევენ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ვინ იფიქრებდა, რომ ბრიტანელ მეფორმულე ჯენსონ ბატონის „უილიამსში" გადასვლის ამბავი ამდენ დავიდარაბას გამოიწვევდა. შეგახსენებთ, პარასკევს გაცხადდა, რომ წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ იგი BAR-ს დატოვებდა და სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში გადაბარგდებოდა.

ბატონს ბარ-თან ორსეზონიანი კონტრაქტი ორიოდ თვეში ეწურება და სხვა გუნდში გადასვლასაც თითქოსდა არაფერი ედგა წინ, მაგრამ ხელშეკრულებაში ყოფილა პუნქტი, რომლითაც ისარგებლეს ბარ-ელებმა და ჯენსონთან თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით ცალმხრივად გაახანგრძლივეს.



დევიდ რიჩარდსის და ჯენსონ ბატონის მამაშვილური გზები გაიყარა

ეს მრბოლმაც მშვენივრად იცოდაო და სწორედ ამიტომაა უკიდურესად აღშფოთებული საჯინიბოს ბოსი დევიდ რიჩარდსი, გადასვლას უკანონოდ თვლის და აცხადებს, რომ ბატონთან ბარ-ის კონტრაქტი 2005 წელსაც ძალაშია:

„ბარ-ის ხელმძღვანელობა განცვიფრებულია — ბატონი რატომ ფიქრობს, რომ მომავალ წელს „უილიამსით" ირბოლებს. ჩვენ შეცბუნებული ვართ ამგვარი მოპყრობით. მას ამ ნაბიჯის შესახებ გუნდში არავისთვის არაფერი უთქვამს. ბოლო თვეებში ჯენსონს მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, გაეგრძელებინა ბარ-თან ერთად მუშაობა ჩვენი საერთო მიზნის, ჩემპიონობის მოსაპოვებლად. ქარხანაში 400 თანამშრომელია, რომლებიც ორი წელი დღესა და ღამეს ასწორებდნენ, რათა მისთვის საამისოდ შესაფერისი მანქანა მოემზადებინათ. მასთან ერთად შამპანურს ვსვამდით და ბოლომდე ვენდობოდით, მან კი თავისი საქციელით ყველას ბოლო მოგვიღო. ეს ნამდვილი ღალატია. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ბატონთან ჩვენი კონტრაქტის იურიდიულ ძალაში. იქ არის „არჩევანის უფლების" პუნქტი, რომელიც 31 ივლისამდე შეგვეძლო გამოგვეყენებინა ხელშეკრულების გასაგრძელებლად. ჩვენც ეს პუნქტი ამოქმედეთ ვადის გასვლამდე კარგა ხნით ადრე და 20 ივლისს ბარ-ის ხელმძღვანელობის სხდომაზე გადაწყდა კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა მრბოლსაც და მის მენეჯერებსაც, აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაცია გავაგზავნეთ შვეიცარიაში, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის საკონტრაქტო კომისიაში. ბატონი 2005 წელსაც ჩვენ გვეკუთვნის."

ცხადია, მეორე მხარეც თავისაზე დგას. სერ ფრენკი დარწმუნებულია, რომ ჯენსონი გაისად მისი პილოტი იქნება — ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს, ბარ-მა კი მისი შენარჩუნების იურიდიული საშუალება დაკარგაო.

ბატონმა ფორმულა 1-ში ჯირითი 2000 წელს სწორედ „უილიამსით" დაიწყო. ერთი სეზონის მერე გუნდიდან კი წავიდა, მაგრამ თავდაპირველი კონტრაქტი ხუთწლიანი ყოფილა იმავე არჩევის თავისუფლების პუნქტით.

„მთელი დავა იმის გარშემოა, ვისი არჩევანია პრიორიტეტული — ჩვენი თუ ბარ-ის. ეს დავა შესაძლოა არბიტრაჟში, ანდა სულაც სასამართლოში გადაწყდეს — აცხადებს ფრენკ უილიამსი — რა თქმა უნდა, ჯობდა ეს ყველაფერი წყნარად და მეგობრულად მოგვარებულიყო და სააშკარაოზე არ გამოგვეტანა."

რიჩარდსი ორი დღე უშედეგოდ ცდილობდა ბატონთან დაკავშირებას, მერე კი ულტიმატუმი წარუდგინა მისი ინტერესების დამცველთ, თუ ბრეკლიში, ბარ-ის შტაბბინაში არ გამოცხადდება, საქმეს ფედერაციის საკონფლიქტო კომიტეტს გადავცემთო. ჯენსონი მაშინვე გამოჩნდა, ეს დღეები კუნძულ სარდინიაზე ვისვენებდიო და კვირას ბოსს შეხვდა, რათა, მისივე თქმით, ყველა კითხვას პასუხი გასცემოდა.

აუდიენციის შემდეგ ბატონმა მედიისთვის მოიცალა — „დევიდს „უილიამსში" ჩემი დაბრუნების აღარ ეეჭვება. ჩემი საკონტრაქტო სიტუაცია ამის უფლებას იძლევა. დამიჯერეთ, მე გუნდისთვის არ მიღალატია, ფულის გულისთვის არ გადავსულვარ. ჩემი მოტივაცია გასაგებია — ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და, დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება რიჩარდსს მშვენივრად ესმის. ბარ-ში ამ სეზონში შვიდი პოდიუმი და 61 ქულა მოვიპოვე მთელი გუნდის 76 ქულიდან, რაც არცთუ ცოტაა და ამის გათვალისწინებით მინდა, „უილიამსში" ჩემი დაბრუნება არც ისე მწვავე ჩანდეს. ახლა მთავარი ისაა, რომ სეზონის დარჩენილ ექვს რბოლაში, ბარ-ის ყველა თანამშრომლის თავდაუზოგავი შრომა მაღალი შედეგებით დაგვირგვინდეს, რის გაკეთებაც გულწრფელად მსურს."

რა გამოდის, ყველაფერი „უსიხლოდ" მოგვარდა?

**გია ახალაძე**

# გიორგი ასანიძე: ვანო გრიქუროვმა არ მიღალატა

*ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამი დღეღა რჩება. სპორტსმენთა პირველი ჯგუფი უკვე ათენშია, მეორე კი ელადას 12 აგვისტოს მიეფრინავს. ამ ჯგუფში ძალოსნები გიორგი ასანიძე და არსენ კასაბიევიც შედიან. მათ მზადება მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან პოლონეთში გაიარეს და თბილისში გუშინ საღამოს დაბრუნდნენ. 17 წლის კასაბიევი, რომელსაც გრიქუროვმა მომავალი კახი კახიაშვილი უწოდა, ასაკის და გამოუცდელობის გამო ათენში მედლის კანდიდატად არ მიიჩნევა, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსან ასანიძისგან კი ქომაგი მედალს ელის. ნამგზავრი და ოჯახს მონატრებული გიორგი დიდხანს არ შევაწუხეთ და მცირე ინტერვიუ ვიკმარეთ*



— პოლონურმა ვარჯიშებმა კარგად ჩაიარა. წელიწადნახევრიანი ტრავმიანობის მერე დატვირთვებს ნელ-ნელა, ეტაპობრივად მივუბრუნდი და ბოლოხანს ჩემს საუკეთესო შედეგებსაც მივუახლოვდი. აქედან გამომდინარე, უკვე ათენში კარგად გამოსვლაზე ფიქრიც სავსებით რეალურია. რაც მთავარია, საბრძოლო განწყობაზე ვარ.

— ვანო გრიქუროვთან პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციის კონფლიქტმა ხომ არ შეაფერხა მზადება?

— გრიქუროვი იქაური ნაკრების რამდენიმე ძალოსანს ავარჯიშებდა, მაგრამ ფედერაციის ულტიმატუმების შემდეგ ამ საქმეზე ხელი აიღო. პოლონელებს ჩემი იქ ვარჯიში არ სურდათ, არჩევანის წინაშე დააყენეს, მან კი მე ამირჩია. 12 წელია, ერთად ვართ და ახლა როგორ მიღალატებდა. არადა, შეიძლება ეს კონტრაქტის გაწყვეტის ფასადაც დაუჯდეს.

— პოლონელებთან კონტრაქტი გრიქუროვს ათენში მასთან ყოფნას ხომ არ ავალდებულებს?

— ეს გამორიცხულია. ოლიმპიურ თამაშებზე იგი სულ ჩვენს გვერდით იქნება.

— არსენ კასაბიევი როგორ ფორმაშია?

— არსენი 17 წლისაა და მედალს ჯერ ვერავინ მოსთხოვს. ათენში პირად რეკორდებს შეებრძოლება. ის თავის ასაკში და ცოტა უფროსებშიც ფავორიტი იქნება, მალე კი სერიოზულ შედეგებსაც მიაღწევს.

— ათენში ჩასულებს შეჯიბრის დაწყებამდე რამხელა შუალედი გექნებათ?

— მე 21 აგვისტოს, თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე გავალ ფიცარნაგზე, არსენი კი 23-ში ხუთის ნახევარზე.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ახალი ერაყი ათენში

## ოლიმპიადაზე ოლიმპიური დევიზით: მთავარია მონაწილეობა






**გაძლიერებული** დაცვა ახლდა ერაყის 48-კაციან ოლიმპიურ დელეგაციას ორდღიან მოგზაურობაში ბაღდადიდან ათენამდე. დელეგაციაში 7 სპორტსმენია — მოკრივე, მოცურავე, ძალოსანი, ძიუდოისტი, ტაეკვონდოისტი და ორი მორბენალი.

ტელეკამერების წინ ერაყელები ხალისიანები და ბედნიერები ჩანდნენ. არც არის გასაკვირი — სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ხომ სპორტსმენთა ცხოვრება ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. სადამის ვაჟიშვილი, უდაი ჰუსეინი, რომელიც ერაყის ოლიმპიური კომიტეტის თავჯდომარე გახლდათ, სასტიკად აწამებდა სპორტსმენებს წარუმატებლობის შემთხვევაში. „მორალური სრულყოფისა და პატრიოტული სულის ამაღლების" ბევრი მეთოდი სცოდნია უდაის, ფეხის ტერფებზე ჯოხის რტყმიდან დაწყებული, ციხეში გამომწყვდევით დამთავრებული. ზოგიერთი ვერც კი უძლებდა ასეთ ტანჯვას.

ამერიკელებმა უდაი და მისი ძმა ქუსაი სიცოცხლეს გამოასალმეს და აღარც სადამი მბრძანებლობს ერაყში, თუმცა ომისგან გაპარტახებულ ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს, რა თქმა უნდა, ფეხზე დასადგომად არაერთი წელიწადი დასჭირდება.

საზოგადოების ყურადღების ცენტრში 19 წლის სპრინტერი ალა ჰიკმათია, ერთადერთი ქალბატონი ერაყულ ნაკრებში. მთავარ იმედებს კი გუნდი 28 წლის ტაეკვონდოისტ რაედ აბასზე ამყარებს, თუმცა იმის შანსი, რომ ერაყელები მედლებისთვის იბრძოლებენ, ძალიან მცირეა. მათთვის ოლიმპიური დევიზი სწორედაც რომ ზედგამოჭრილია. ათენის თამაშებში მონაწილეობით ისინი მსოფლიოს უცხადებენ, რომ ერაყიც მისი ნაწილია.

ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის კონსულტანტმა მარკ კლარკმა განაცხადა: „ისინი მხოლოდ თავიანთ თავს როდი წარმოადგენენ, ისინი ახალი ერაყის წამომადგენლები არიან."

**ლადო ფულუკიძე**

# მეც მასავით დავიტანჯები!

**უცნაური** ამბები დატრიალდა ათენის ერთ-ერთ სასტუმროში. 6 აგვისტოს ბერძენი ძიუდოისტი ქალბატონი ელენი იოანუ მესამე სართულის აივნიდან გადავარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

პოლიციამ დააკავა პირი, რომელიც თითქოსდა რაღაცაზე ეკამათებოდა სპორტსმენს გადმოვარდნამდე ცოტა ხნით ადრე, თუმცა იგი ახლა განთავისუფლებულია.

ელენის ნათესავები ამტკიცებენ, რომ სპორტსმენი თავად გადმოხტა და ეს თვითმკვლელობის მცდელობა იყო.

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გუშინ იმავე სასტუმროს იმავე აივნიდან იოანუს სატრფო გადმოეშვა. ალბათ იფიქრა, როგორც ის იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯოო. ახლა ეს კაციც ჰოსპიტალში წევს, მაგრამ მისი მდგომარეობა ისეთი მძიმე არ არის, როგორც ელენის.

ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად დასრულდეს და ამის მერე ამ სიყვარულით დამწვარმა წყვილმა აივნებიდან ხტომა მოიშალოს.

**ლადო ფულუკიძე**

# რამე დამალევინეთ!

## სიუზის მტანჯველი ღამეები ელის

**ათენის** ოლიმპიურ სოფელში პრაქტიკულად ყველაფერი იქნება, რასაც სპორტსმენები მოისურვებენ, გამონაკლისია მხოლოდ ალკოჰოლური სასმელები.

ტრადიციის თანახმად, ოლიმპიურ სოფელში მშრალი კანონი შენარჩუნდება, რასაც ვერავინ დაარღვევს. გამონაკლისს არც ავსტრალიელი ტყვიის მსროლელის სიუზი ბალოგისთვის დაუშვებენ, რომელსაც მუდამ თან დააქვს ერთი ბოთლი ვისკი.

„როდესაც მე უცხო ადგილებში ჩავდივარ, ჩვეულებისამებრ უძილობა მტანჯავს. ამიტომ მუდამ თან დამაქვს ვისკი. ორი-სამი ჭიქა საკმარისია და მერე მკვდარივით მეძინება — ამბობს სიუზი, მაგრამ ეტყობა, მას ათენში მძიმე ღამეები ელის. ოლიმპიურ სოფელში ვერავინ შეიტანს ვერც ალკოჰოლურ სასმელს, ვერც გამაგრილებელს და ვერც რაიმე საკვებს. ამასთან ყოველივე ამის გამოტანა ოლიმპიური სოფლიდანაც შეუძლებელი იქნება. მეტიც, საკვებისა და სასმელების გამოტანა ოლიმპიური სოფლის სასადილოებიდან და კაფეებიდანაც შეუძლებელი იქნება.

# ქალის ფიცი

**ათენის** ოლიმპიურ თამაშებზე, ამგვარი თამაშების ისტორიაში ზედიზედ მესამედ, ოლიმპიურ ფიცს წარმოთქვამს ქალი. ეს იქნება ბერძენი მოცურავე ზოი დიმოსჩაკი. მას ამგვარი პატივი იმისთვის მიაგეს, რომ ორგანიზატორებს სურდათ ფიცი წარმოეთქვა საბერძნეთში ყველაზე პოპულარული სახეობის, მძლეოსნობის ან ცურვის წარმომადგენელს. საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა 19 წლის დიმოსჩაკზე, რომელიც იასპარეზებს თავისუფალი სტილით 200 და 400, აგრეთვე 4x100 და 4x200 მეტრზე ესტაფეტებში.

შეგახსენებთ, რომ 1996 წელს ატლანტაში ოლიმპიური ფიცი წარმოსთქვა ამერიკელმა კალათბურთელმა ქალმა ტერეზა ედვარდსმა, ხოლო სიდნეიში ავსტრალიელმა ბალახის ჰოკეისტმა რეიჩელ ჰოუკსმა.

## ფეხბურთი

**ინგლისი**

ჩემპიონატი. II ტური

უოტფორდი 3:0 ქუინზ პარკი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. I ტური

ალემანია 1:1 აინტრახტი

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. I ტური

ლე ავრი 1:2 ნიორი

**ნორვეგია**

ტიპელიგა. XVII ტური

მოლდე 1:1 ვიკინგი

**შვედეთი**

ალსვენსკა. XV ტური

ჰალმსტადი 1:2 აიკ
მალმიო 4:2 ტრელებორგი
სუნდსვალი 0:1 კალმარი
გიოტებორგი 4:0 იორგრიტე

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი. XIII ტური

ფრამი 2:1 გრინდავიკი

**ჩეხეთი**

გამბრინუსლიგა. I ტური

ბოლესლავი 1:0 იაბლონეცი

ეროვნული ბიბლიოთეკა





*ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი*

# ლიკანში კარგია გავლა





ოლიმპიადა კარს მოგვადგა, ათენში წამსვლელები დღეებს და ვარჯიშებს ითვლიან. ღმერთმა ინებოს, სამ კვირაში მედლები ვერ დაგვეთვალოს, მედალს კი შრომა, ოფლი და ერთი კარგი შეკრება სჭირდება.

კარგა ხანია, ლიკანს სწვევია ძიუდოისტთა 50-კაციანი ლაშქარი შვიდი ოლიმპიელით, პირადი მწვრთნელებით, სპარინგებით, ექიმ-უსტაბაშებით და, რა თქმა უნდა, თავადაც ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელის თავკაცობით. მყუდრო გარემო, გემრიელი ჰაერი, ბორჯომის წყალი, ფოთლების შრიალი — მოკლედ ხელ-ფეხის გასაშლელად და ქალაქის ხმაურის თავიდან ამოსაგდებად უკეთეს კუნჭულს ვერ ინატრებს ოლიმპიურ ბაბილონში წასასვლელად ჩანთებჩალაგებული კაცი.

აი, სავარჯიშო მორჩა და გუნდის ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა ბიჭები შემოიკრიბა, მერე კი გავლაც შეიძლება.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ქრაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge